Arabesque

BALLET MAGAZINE არაბესკი ჟურნალი ბალეტზე No1(12)'09

PEOPLE'S BANK
სახალხო ბანკი

კულტურის
მენარჩუნებისთვის

Your Network

ISSN 1542-3294

No1(12)'09

Arabesque

Ballet Magazine

„არაბესკი" ჟურნალი ბალეტზე

გარეკანის პირველ გვერდზე:
სცენა ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა".
ჯულიეტა – ნინო ანანიაშვილი, რომეო – ვასილ ახმეტელი.

გარეკანის მეოთხე გვერდზე:
ნერო – ლაშა ხოზაშვილი. „სიზმრები იაპონიაზე"

On the first cover page: scene from "Romeo and Juliet".
Juliet – Nina Ananiashvili, Romeo – Vasil Akhmeteli.
On the last cover page: The Crane – Lasha Khozashvili. "Dreams About Japan"

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და გალეტის სახელმწიფო თეატრის
საბალეტო დასის ჟურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF
THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE

გამოდის წელიწადში ორჯერ **Issued twice a year**

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი ილია თავბერიძე	Editor-in-Chief ILIA TAVBERIDZE
ინგლისური ტექსტების რედაქტორი თორნიკე ხომერიკი	Editor of the English language version TORNIKE KHOMERIKI
ტექნიკური რედაქტორი ქეთევან ნოზაძე	Technical Editor KETEVAN NOZADZE
ფოტოგრაფი ლადო ვაჩნაძე	Photographer LADO VACHNADZE

ნომერში გამოყენებულია თეატრის მუზეუმისა და ბალეტის მსახიობთა
პირადი არქივის ფოტოები

Printed in the issue are photos from the Theatre Museum
and the private archives of the ballet artists.

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25
25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA
ტელ/TEL: +995 32 99 93 64

UDC(უაკ)792.8
A-70
ISSN 1512-3294

© 2009, Designed by Beck Dundua

www.ballet.ge

02 BALLET NEWS

06 სტუმარი · GUEST
ოლივიე პატე: „კმაყოფილი ვარ თქვენთან მუშაობით"
OLIVIER PATEY: "I'M HAPPY WITH WORK DONE HERE"

10 გასტროლი · TOUR
დავით მახათელი
DAVID MAKHATELI

12 გასტროლი · TOUR
ალინა სომოვა
ALINA SOMOVA

14 გასტროლი · TOUR
პრიმა-გალერინა – პირველად სომხეთში
THE PRIMA BALLERINA FOR THE FIRST TIME IN ARMENIA

17 იუბილე · ANNIVERSARY
სოლომონ ვირსალაძე – 100
SOLOMON VIRSALADZE – 100

21 დასი · COMPANY
დავით ანანელი
DAVID ANANELI

22 ქველმოქმედება · CHARITY
საქველმოქმედო აქცია
CHARITY PERFORMANCE

23 ქართული გალეტის მეგობართა საზოგადოების
წევრთა სია
LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

24 ოსტატი · MASTER
ლარისა ნადარეიშვილი.
ნახევარი საუკუნე გალეტთან ერთად
LARISA NADAREISHVILI. HALF A CENTURY WITH BALLET

26 რაკურსი · VIEW ANGLE
ნინო ოჩიაურის ფოტოები
NINO OCHIAURI'S PHOTOGRAPHY

28 მცირე საბალეტო ენციკლოპედია
SMALL BALLET ENCYCLOPEDIA

30 სათავეებთან · HOW IT BEGAN
თამარ ვიხოდცევა
TAMAR VIKHODTSEVA

ჯულიეტა – ნინო ანანიაშვილი,
რომეო – ვასილ ახმეტელი.
რომეო და ჯულიეტა

Juliet – Nina Ananiashvili,
Romeo – Vasil Akhmeteli.
Romeo and Juliet

პირველად თბილისის სცენაზე

11 დეკემბერს ნინო ანანიაშვილმა თბილისში პირველად იცეკვა ჯულიეტას პარტია ს. პროკოფიევის ბალეტში „რომეო და ჯულიეტა“. ამ ბალეტის ლეონიდ ლავროსკისეული ვერსია ჩვენი თეატრის სცენაზე 2006 წლის 19 მაისს დადგა ქორეოგრაფის შვილმა, თავად გამორჩეულმა მოცეკვავემ და ქორეოგრაფმა მიხეილ ლავროსკიმ. ნინო ანანიაშვილის რეპერტუარში ჯულიეტას პარტიის სამი სხვადასხვა, საკმაოდ ცნობილი რედაქციაა. დიდ თეატრში პრიმა-ბალერინამ იცეკვა როგორც ლეონიდ ლავროვსკისეულ სპექტაკლში, ასევე ბალეტის იური გრიგოროვიჩის მიერ განხორციელებულ დადგმაში. მოგვიანებით კი მიწვეულ იქნა ინგლისის სამეფო ბალეტში, სადაც მან კენეტ მაკმილანის ვერსია იცეკვა. როგორც თავად პრიმა-ბალერინა ამბობს, მისთვის ჯულიეტას სამივე პარტია საინტერესო და სასიამოვნოა შესასრულებლად, მაგრამ ლავროვსკის ვერსია ხიბლავს თავისი მონუმენტურობითა და ემოციით. პრიმა-ბალერინას პარტნიორობას უწევდა დასის წამყვანი სოლისტი ვასილ ახმეტელი. სპექტაკლს დავით მუქერია დირიჟორობდა.

31 იანვარს პრიმა-ბალერინა პირველად წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე ალექსეი რატმანსკის მიერ სპეციალურად მისთვის დადგმულ ბალეტში – „ლეა“ (ლ. ბერსტაინის მუსიკაზე). ნ. ანანიაშვილს პარტნიორობას ირაკლი ბახტაძე უწევდა.

For the First Time on Tbilisi Stage

On December 11, Nina danced the Juliet role from the S. Prokofiev ballet “Romeo and Juliet” for the first time in Tbilisi. The Leonid Lavrovsky version of the work was staged on May 19, 2006 by his son, well-known dancer and choreographer, Mikhail Lavrovsky. In Nina’s repertoire there are three various and widely known editions of the Juliet role. In the Bolshoi Theatre she danced both Lavrovsky and Grigorovich versions, adding the Kenneth MacMillan edition to her repertoire at the Royal Ballet of England. As the Prima Ballerina says, all three versions are very interesting, although the Lavrovsky one is the most fascinating because of its monumental and emotional character. Partnering her was the Leading Soloist of the Company, Vasil Akhmeteli, while David Mukeria was the conductor.

On January 31 she appeared in Tbilisi for the first time in “Leah” – piece made by Alexei Ratmansky for her (on music by L. Bernstein). Irakli Bakhtadze was her partner.

102-ე პრემიერა

ჟურნალისტის დღიური

ასე ქვია ჟურნალისტ გიორგი ნიორაძის ფილმს, რომლის პრემიერა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში 28 დეკემბერს შედგა. ფილმი მოგვითხრობს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ფრედერიკ ეშტონის ბალეტის „მარგარიტა და არმანის“ დადგმის პროცესზე. ბალეტის პრემიერა 2008 წლის 9 მაისს გაიმართა. ფილმის მთავარი მოქმედი გმირი პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილია, რომლისთვისაც მარგარიტას პარტია ამ ბალეტში მისი 102 სცენიური როლია. ფილმში იგი თავად მოგვითხრობს ბალეტის შექმნის პროცესზე. ტელეკამერამ აღბეჭდა ყოველი ნიუანსი, რაც დაკავშირებული იყო ბალეტის დადგმასთან. ეს ფილმი გიორგი ნიორაძის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია, რომელიც ტელეიმედის პროექტის – „ჟურნალისტის დღიურის“ ფარგლებში მომზადდა (პროექტის ხელმძღვანელია მათე კირვალიძე, ფილმის კონსულტანტი – ილია თავბერიძე).

The 102nd Premiere

Is the name of the film by journalist Giorgi Nioradze, premiered on the Imedi TV on December 28 and made about the staging of “Marguerite and Armand”, the Frederick Ashton ballet, in Tbilisi Opera and Ballet State Theatre. The premiere of the work took place on May 9, 2008. The central actor on the evening was the Prima Ballerina Nina Ananiashvili, for whom this was her 102nd role on stage. She herself speaks in the film about the creation of the Ballet, while the TV camera showed all the details of it. The work is one of the best by Giorgi Nioradze, prepared in frame of the Imedi TV project “A Journalist’s Diary” (Project Manager Mate Kirvalidze, Film Consultant Ilia Tavberidze).

სოლიკო ვირსალაძის 100 წლისთავს მიეძღვნა

13 იანვარს შესრულდა გამოჩენილი სცენოგრაფის სოლომონ ვირსალაძის დაბადებიდან 100 წელი. იგი, ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად, იდგა ქართული ბალეტის სათავეებთან. სწორედ მას ეკუთვნის პირველი ქართული ბალეტის „მთების გულის“ მხატვრობა. შემდეგშიც იგი ჭაბუკიანის თითქმის ყველა ბალეტის სცენოგრაფი გახლდათ. სოლომონ ვირსალაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში დიდი ადგილი ეთმობა მარიისა და დიდ თეატრში განხორციელებულ საბალეტო სპექტაკლებს. მათ შორის დღესაც ძალზე პოპულარულია პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნას“ ი. გრიგოროვიჩისეული ვერსია, რომელიც ჩვენი თეატრის რეპერტუარშიც არის წარმოდგენილი. 13 იანვარს „მაკნატუნა“ სწორედ სოლიკო ვირსალაძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა.

For the 100 Anniversary of the Birth of Soliko Virsaladze

On January 31, 100th Anniversary of the birth of a well-known stagecraftsman, Solomon Virsaladze was celebrated. He, alongside Vakhtang Chabukiani, was the person at the beginnings of the Georgian Ballet and prepared the designs for the first Georgian work “Mtebis Guli” (“Heart of the Mountains”), as well as almost all of the Chabukiani ballets. An important part of his biography are the works, staged at the Bolshoi and Mariinsky theatres, among them P. Tchaikovsky’s “Nutcracker” with I. Grigorovich’s popular edition, present in our Theatre’s repertoire as well. “The Nutcracker” of the January 13 was devoted to this Anniversary.

ჭაბუკიანის დაბადების 99 წლისთავი

ტრადიციულად, 27 თებერვალს, ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების დღეს, საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის აღსაზრდელებმა და პედაგოგებმა მთაწმინდის პანთეონში პატივი მიაგეს დიდი ხელოვანის ხსოვნას. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ვახტანგ ჭაბუკიანის საღამო. პირველ განყოფილებაში საბალეტო სასაწავლებლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ერთმოქმედებიანი ბალეტი „კონკიას სიზმარი“ (ლიბრეტო მედეა მაღალაშვილის, ქორეოგრაფია ნუკრი მაღალაშვილის). მეორე განყოფილებაში კი საბალეტო დასმა წარმოადგინა მეორე მოქმედება ა. კრეინის ბალეტიდან „ლაურენსია“ (ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია. ნუკრი მაღალაშვილის ქორეოგრაფიული რედაქცია). მთავარი პარტიები ლალი კანდელაკმა და ლაშა ხოზაშვილმა იცეკვეს. თეატრის ცისფერ დარბაზში მოეწყო გამოფენა.

The 99 Anniversary of the Birth of Vakhtang Chabukiani

In line with the tradition, on the February 27, the day of the birth of Vakhtang Chabukiani, the pupils and pedagogues of the State School of Ballet Art remembered the great artist at the Mtatsminda Pantheon. The Vakhtang Chabukiani Evening was presented at the Tbilisi Opera and Ballet State Theatre. The one-act ballet “Cinderella’s Dream” (choreography by Nukri Maghalashvili, libretto by Medea Maghalashvili) was the work presented in the first section, A. Krein’s “Laurencia” (choreography by Vakhtang Chabukiani, choreographic edition by Nukri Maghalashvili) being performed in the second. The leading roles were performed by Lali Kandelaki and Lasha Khozashvili. An exhibition was organized in the Blue Hall of the Theatre.

ირმა ნიორაძის გასტროლი თბილისში

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით 18 დეკემბერს თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა მარიას თეატრის პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე და ამავე თეატრის სოლისტი მიხეილ ლობუხინი. მათ მთავარი პარტიები იცეკვეს ლ. მინკუსის ბალეტში „დონ კიხოტი“.

Irma Nioradze on Tour in Tbilisi

Organized by the Ministry of Culture, Monuments Protection and Sports of Georgia, the tour of Irma Nioradze, the Prima Ballerina of the Mariinsky Theatre, and the Soloist of the Mariinsky Mikhail Lobukhin, took place on December 18. They performed the leading roles in L. Minkus' ballet "Don Quixote".

ჩელიტა – ირმა ნიორაძე.
ბაზილი – მიხეილ ლობუხინი.
დონ კიხოტი
Chelita – Irma Nioradze.
Basilio – Mikhail Lobukhin. Don Quixote

დავით მახათელისა და ალინა სომოვას გასტროლი თბილისში

2009 წლის 12 თებერვალს პ. ჩაიკოვსკის ბალეტში „გედების ტბა“ მთავარი პარტიები იცეკვეს მარიას თეატრის საბალეტო დასის სოლისტმა ალინა სომოვამ და ინგლისის სამეფო ბალეტის პრემიერმა დავით მახათელმა.

David Makhateli and Alina Somova on Tour

On February 12, 2009, in P. Tchaikovsky's "Swan Lake", the leading roles were performed by Alina Somova, the Soloist of the Mariinsky Theatre Ballet Company, and David Makhateli, the Principal of the Royal Ballet of England.

ოდეტა – ალინა სომოვა.
პრინცი – დავით მახათელი. გედების ტბა
Odette – Alina Somova. The Prince – David Makhateli. Swan Lake

ახალი გამოცემები



თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასმა გამოსცა 2009 წლის კალენდრები „საქართველოს სახელმწიფო ბალეტი“ და „ნინო ანანიაშვილი“. ასევე გამოიცა საბალეტო დასის 2009 წლის კატალოგი.

The New Editions

The Ballet Company of the Tbilisi Opera and Ballet State Theatre issued the "State Ballet of Georgia" and the "Nina Ananiashvili" calendars for the 2009 year, as well as the catalogue of the Company for 2009.

ნინო ანანიაშვილის ბოლო გამოსვლა ვაშინგტონში

ნინო ანანიაშვილმა ABT-ის პრიმა-ბალერინას ამპლუაში, ვაშინგტონში, „გედების ტბა“ ბოლოჯერ იცეკვა. 21 თებერვალს Kennedy Center Opera House-ის სცენაზე American Ballet Theatre-თან ერთად ანანიაშვილმა, რომელიც ABT-ს ივნისში, ნიუ იორკის საგაზაფხულო სეზონზე დაემშვიდობება, მოკლე სიტყვა წარმოთქვა. პრიმა-ბალერინას პარტნიორობას ხოსე მანუელ კარენიო უწევდა.

სპექტაკლის შემდეგ, როგორც ამერიკული პრესა წერს, გარშემო ოვაცია და აღტაცებული შეძახილები ისმოდა.

„ის დირიჟორისაგანაც წარმოუდგენელ ტემპს ითხოვს „გედების ტბის“ მესამე მოქმედებაში, 32 ფუეტეს წარმოუდგენელი სისწრაფით ასრულებს. განსაკუთრებული მოლაპარაკებაც არ სჭირდება პარტნიორებთან – ლიდერის შესანიშნავ ხასიათს ფლობს, რითაც გარშემომყოფთაგან მაქსიმალურ მონდომებას იღებს. ეს „გედების ტბაში“ მისი წარმატების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მთელი სპექტაკლი ემოციით იყო სავსე. ასეთ წარმოდგენას ანანიაშვილის ვარსკვლავურ ძალას მივაწერ. პროლოგში მისმა მოკლე გამოჩენამ ენთუზიაზმით აღსავსე ოვაცია გამოიწვია და ამ მომენტიდან დაწყებული მთელი საღამოს განმავლობაში ამაღლებული განწყობა არ ჩამცხრალა“ – წერდა „ვაშინგტონ პოსტში“ სარა კაუფმანი.

ოდეტა – ნინო ანანიაშვილი. გედების ტბა
Odette – Nina Ananiashvili. Swan Lake

ნენსი ელისონის ფოტო / Photo by *Nancy Ellison*

The Last “Swan Lake” Performance in Washington for Nina

Nina Ananiashvili danced the last “Swan Lake” performance in Washington as the Prima Ballerina of the ABT. On February 21, at the Kennedy Center Opera House, the ballerina, who bids farewell to the ABT in June, during the New York Spring season, made a short speech. Partnering her was Jose Manuel Carreno.

According to the US press, overwhelming ovations and chanting could be heard after the performance.

“[…] she can [also] ask for punishing tempos from her conductors - in “Swan Lake’s” third act, she whipped through those 32 fouettes so fast she looked like she could saw through a redwood. Did she give the cast a pep talk before Saturday’s markedly energized show? She likely didn’t need to - she also possesses the confidence-instilling leadership of a great quarterback, the ability to pump up the efforts of those around her. “

“Electricity ran through the whole ballet Saturday, and - having seen numerous well-danced but theatrically sluggish performances of this production before - I attribute it to Ananiashvili’s enormous star power. Her brief appearance in the prologue triggered enthusiastic applause, and from that point on the evening never lost momentum.”, wrote Sarah Kaufman.

რატმანსკი–გალა დიდ თეატრში

ალექსეი რატმანსკიმ გასული წლის 31 დეკემბერს დატოვა მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტი და ახალი წლიდან შეუდგა ამერიკის ბალეტის თეატრში (ABT) მიწვეულ ქორეოგრაფად მუშაობას. „რატმანსკი-გალა“, რომელიც დიდ თეატრში 29 დეკემბერს გაიმართა, ბალეტმაისტერის ერთგვარი ანგარიში გახლდათ დიდ თეატრში ხუთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

ნინო ანანიაშვილი, რომელსაც რატმანსკიმ ოთხი ბალეტი დაუდგა, სპეციალურად ჩავიდა მოსკოვში და ანდრეი უვაროვთან ერთად იცეკვა ფრაგმენტი „ლეადან“. რატმანსკი არ აპირებს გაწყვიტოს შემოქმედებითი ურთიერთობა დიდ თეატრთან. სამომავლოდ აქ დაგეგმილი აქვს ახალი ბალეტის დადგმა ლეონიდ დესიატნიკოვის მუსიკაზე.

Ratmansky Gala at the Bolshoi Theatre

Alexei Ratmansky left the Artistic Directorship of the Bolshoi Theatre on December 31 last year, moving to the American Ballet Theatre, where he is taking the title of Artist in Residence. The “Ratmansky Gala”, presented on December 29, was his account of the five-year work at the Theatre.

The grand concert consisted of several parts, presented from ballets staged by the Choreographer, while there were only stars on stage. Nina Ananiashvili, for whom Ratmansky has staged four ballets, travelled to Moscow to dance a fragment from “Leah” with Andrey Uvarov. Ratmansky is not going to fully part company with the Bolshoi Theatre and plans to stage ballets there on Leonid Desyatnikov’s music.

ოლივიე პატე:

„კმაყოფილი ვარ თქვენთან მუშაობით"

თორნიკე ხომერიკი | *Tornike Khomeriki*

OLIVIER PATEY: "I'm Happy With Work Done Here"

Olivier Patey began his dancing at the Paris National Opera Ballet School in 1966. He became the dancer of the Paris National Ballet Company in 1973, aged 16. Patey was being regularly chosen for the solo and leading roles by the choreographers Alicia Alonso, George Balanchine, Jerome Robbins, Pierre Lacotte, while in 1976 the George Hagon role in ballet "Nana" was created for him by Roland Petit.

In 1983, after performing the leading parts in "Sylvia", "La Sylphide", "Midsummer Night's Dream", "Etudes", "Don Quixote", "Romeo and Juliet", and collaborating with Alvin Nikolai, Yuri Grigorovich, John Neumeier, Kenneth MacMillan and Carol Armitage, Patey becomes the premiere of the Theatre. Rudolf Nureyev, the Artistic Director, offers him to dance Fritz in "Coppélia" and the leading role in Serge Lifar's "Mirages". In 1997 Patey decided to begin the career of a ballet master and pedagogue. His choreographic works were presented in the repertoire of the dance companies of the Paris Opera, Cuba, Korea and Bucharest Opera. His master classes have been provided at the Mexican National Dance Company, Singapire Dance Theatre, Korean Ballet Company, Perm National Academic Ballet Company, Belgrade National Ballet Company, Scotland Ballet Company, Novosibirsk National Academic Theatre. For two weeks he had been giving the master classes for our Ballet Company.

ოლივიე პატემ ცეკვა პარიზის ნაციონალური ოპერის საბალეტო სკოლაში 1966 წელს დაიწყო. 1973 წელს პარიზის ნაციონალურ საბალეტო დასს შეუერთდა. ამ დროისათვის იგი 16 წლის იყო. თეატრში მოწვეული ქორეოგრაფები – ალისია ალონსო, ჯორჯ ბალანჩინი, ჯერომ რობინსი, პიერ ლაკოტი მას სოლო და მთავარი პარტიების შესასრულებლად ირჩევდნენ, ხოლო 1976 წელს როლანდ პეტიმ მისთვის სპეციალურად შექმნა ჯორჯ ჰაგონის პარტია ბალეტში „ნანა"

1983 წელს, ბალეტებში: „სილვია", „სილფიდა", „ზაფხულის ღამის სიზმარი", „ეტიუდები", „დონ კიხოტი", „რომეო და ჯულიეტა" წამყვანი პარტიების შესრულების შემდეგ, ალვინ ნიკოლაისთან, იური გრიგოროვიჩთან, ჯონ ნოიმაიერთან, კენეტ მაკმილანთან, კაროლ არმიტაჯთან თანამშრომლობის შემდეგ, ოლივიე პატე თეატრის პრემიერი ხდება. პარიზის ბალეტის დირექტორი რუდოლფ ნურიევი პატეს სთავაზობს ფრიცის პარტიას „კოპელიაში" და მთავარ პარტიას სერჟ ლიფარის „მირაჟებში". 1997 წელს პატემ გადაწყვიტა დაეწყო ბალეტმაისტერის და ბალეტის პედაგოგის კარიერა. მისი რამდენიმე ქორეოგრაფიული ნამუშევარი წარმოდგენილი იყო პარიზის ოპერის, კუბის, კორეის ნაციონალური ბალეტისა და ბუქარესტის ნაციონალური ოპერის რეპერტუარში. იგი მასტერ-კლასებს ატარებს მექსიკის ნაციონალურ საცეკვაო დასში, სინგაპურის ცეკვის თეატრში, კორეის ხელოვნების ნაციონალურ უნივერსიტეტში, კიევის ნაციონალურ ოპერისა და ბალეტის თეატრში, კორეის ბალეტში, პერმის ნაციონალურ აკადემიურ ბალეტში, ბელგრადის ნაციონალურ ბალეტში, შოტლანდიის ბალეტში, ნოვოსიბირსკის ნაციონალურ აკადემიურ თეატრში. ორი კვირის განმავლობაში იგი მასტერ-კლასებს აძლევდა ჩვენი საბალეტო დასისათვის.

გადმოგცემთ დასის ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და მოცეკვავეების აზრს, რომ ჩვენთვის დიდი პატივია თქვენი აქ ყოფნა და საბალეტო დასთან მუშაობა.

ეს ჩემთვისაც დიდი პატივია. თბილისი, აქაური ადამიანები, მოცეკვავეები – ეს ყველაფერი შესანიშნავ გარემოს ქმნის. ამ ყველაფრისაგან დიდ სიამოვნებას ვიღებ.

თქვენ 16-17 წლის ასაკში უკვე მუშაობდით ისეთ დიდ ქორეოგრაფებთან, როგორებიც იყვნენ ჯორჯ ბალანჩინი, ჯერომ რობინსი, პიერ ლაკოტი... რა გავლენა მოახდინა ამ გარემომ თქვენი, როგორც მოცეკვავის და შემდეგში, როგორც ქორეოგრაფის ჩამოყალიბებაზე?

ბალანჩინი ჩემთვის ყოველთვის იყო შთაგონების წყარო. ჩემთვის უფრო მდიდარი ქორეოგრაფიული ფანტაზიის ადამიანის წარმოდგენა შეუძლებელია. ის ჩემთვის ყოველთვის იყო მაგალითი, როგორ უნდა შექმნა ახალი მოძრაობები. რობინსთან მუშაობაც მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ბალანჩინი ნამდვილი იდეალი იყო ჩემთვის. ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენი თეატრის გარეთ მისი მონუმენტი დგას. მართალია, ნინო ამბობს, რომ ის არასაკმარისად დიდია, თუმცა თვითონ ფაქტი, რომ ცნობილი ფოტოს მიხედვით დამზადებული მონუმენტი თეატრთან დგას, უკვე სასიხარულოა.

შემდეგ მოგიხდათ რუდოლფ ნურიევთან მუშაობა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ თანამშრომლობიდან?

პარიზის საბალეტო სკოლაში სწავლისას ნურიევი ჩემი იდეალი იყო. არა მარტო მისი ტექნიკური შესაძლებლობებით, არამედ მისი პერსონითაც მოხიბლული ვიყავი. გასაოცარი იყო მისი „სიგიჟე“ სცენაზე, იგი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა გარშემომყოფებზე. მასთან მოგვიანებით ვიმუშავე, 1980 წელს, როდესაც „დონ კიხოტში“ ესპადას როლისათვის ვემზადებოდი. გაოცებული ვიყავი მისი მიგნებებით. მას რთული ხასიათიც ჰქონდა, თუმცა ვთვლი, რომ მისი დონის სამხატვრო ხელმძღვანელი აღარ გვყოლია.

თქვენ გასტროლები და მასტერკლასები მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაქვთ ჩატარებული, კარგად იცნობთ საბალეტო ხელოვნებას სხვადასხვა კონტინენტზე. რა ძირითადი ტენდენციებია გამოკვეთილი?

მართალია, ბევრი თვლის, რომ საქართველო ზედმეტად აღმოსავლურია იმისათვის, რომ ნამდვილად ევროპული ქვეყანა იყოს, მაგრამ ქართველების აზ-

First of all, we would like to tell you that the administration, pedagogues and dancers are honoured to have you working here at the State Ballet of Georgia.

It is an honour for me as well. Tbilisi, people around, dancers – it's all marvellous, i'm ejoying it.

Moving on to the ballet – when you were 16 or 17 years old, you already worked with such great choreographers as George Balanchine, Jerome Robbins and Pierre Lacotte… what effect did this have on you becoming first a dancer, and then a choreographer yourself?

I've always been inspired by Balanchine. I cannot imagine a choreographer richer than him. He was my model by means of creating new movements. Working with Robbins was imporant too, but the real model is Balanchine. I like the fact that there is a statue of him outside your theatre. Nina is complaining that it isn't big enough, but already it's good that it is there, depicting this famous photo of him.

After that you worked with Rudolf Nureyev. What impression did that collaboration leave on you?

I have to say that I was also a fan of Nureyev when I was a student in Paris ballet school. I was completely fascinated by not only his movement, but also his presence on stage; his wildness was really amazing, it made a big impression on everybody. I worked with him later, in 1980, when I was preparing Espada in Don Quxiote and was fascinated by his clever approach in an instinctive way. It was not always so easy with him, but still, I think we have not had such an artistic director since.

You have done tours and master classes all over the world and have seen the state of the ballet art in various regions. What are the major trends you have noticed in this regard?

Well, even if some people say Georgia is too oriental to be Eeurope, the way of thinking of the people in Georgia make it part of Europe. Ballet-wise, I have to say the region of the former Soviet Union is the richest in the way of ballet education, even if in United States you have this positive influence of Balanchine; we also have to remember that he was educated in Marrinsky. The balket world is a small one – this is visible during the working process with the Georgian dancers - we are very similar, we are looking for the same things. And I would also like to note that the credit for this should go to Nina, as she's so open minded and manages the company with bold ideas.

როვნება თქვენ ქვეყანას ევროპული ქვეყნების რიგებში აკუთვნებს ადგილს. რაც შეეხება საბალეტო ხელოვნებას, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბალეტო განათლების მხრივ ყველაზე მდიდარი არიან, იმის მიუხედავად, რომ ამერიკაში ბალანჩინის დადებითი გავლენაა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბალანჩინიც მარიას თეატრის ტრადიციებზე გაიზარდა. საბალეტო სამყარო მეტად მცირეა – ეს ქართველ მოცეკვავეებთან ურთიერთობაშიც ჩანს – ჩვენ მეტნაკლებად ერთნაირად ვაზროვნებთ. ასევე მინდა შევნიშნო, რომ ამაში დიდი წვლილი ნინოსაც მიუძღვის – ის მეტად გახსნილი გონებით, ფართო იდეებით მართავს დასს.

რას აკეთებთ დღეს როგორც ქორეოგრაფი?

უნდა გითხრათ, რომ დღეს ბევრ სამუშაოს ვასრულებ. როგორც ფრანგები, ასეთ შემთხვევაში იტყვიან, „ბევრი ქუდი მახურავს“. ქორეოგრაფიულ სამუშაოს სპეციალური მიწვევის შემთხვევაში ვიღებ; ვარ სხვადასხვა დასის პედაგოგი, გასტროლების პროდიუსერი და ვმუშაობ გარკვეულ მოცეკვავეთა კონტრაქტებზე. თუმცა ქორეოგრაფიისათვის დრო ყოველთვის მაქვს, ეს ჩემი შთაგონების წყაროა.

თქვენი ჩამოსვლის პროექტი ვისი ხელშეწყობით განხორციელდა?

ამ პროექტზე ნინოსთან მქონდა საუბარი და ვუთხარი მას, რომ ჩვეული პრაქტიკა იქნებოდა საფრანგეთის საელჩოს მხრიდან მხარდაჭერა. მათ მაშინვე გამოხატეს დახმარების სურვილი და ეს პროექტიც შედგა.

ჩამოსვლისთანავე დაინტერესდით „ლაურენსიით“ და ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებით. ადრეც იცნობდით მის შემოქმედებას?

მასზე ბევრი რამ არ ვიცი, თუმცა ნანახი მაქვს ფილმები და უნდა ვთქვა, რომ ის ნამდვილი გენია იყო ბალეტში და მეტად თანამედროვე იმ დროისათვის.

ყოველ საბალეტო დასთან მუშაობისას, ალბათ, ჩნდება გარკვეული მხარე, რომელზეც განსაკუთრებული მუშაობაა საჭირო. რაზე აკეთებთ აქცენტს ჩვენს დასთან მუშაობის დროს?

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს აქ საბალეტო სკოლაში ფეხის იატაკთან კონტაქტზე, ამ ასპექტის არტიკულაციაზე არ არის გაკეთებული საკმარისი აქცენტი. სასიამოვნოა, რომ აქ მუშაობით ამის გაუმჯობესების საშუალება მეძლევა.

და დასის ზოგად დონეს როგორ შეაფასებ-დით?

დასი ძალიან ძლიერია. ვიცი, რომ ნინოს სურს, აქ უფრო მეტი მაღალი დონის მამაკაცი მოცეკვავე იყოს. მაგრამ დასი უკვე ძალიან ძლიერია, მშვენიერი და ძლიერი მოცეკვავეებით, ძალიან ლამაზი გოგონებით. მეტად კმაყოფილი ვარ მათთან მუშაობით.

დიდი მადლობა ინტერვიუსათვის. იმედი გვაქვს, თქვენი თანამშრომლობა ჩვენთან კვლავ გაგრძელდება.

მადლობა. დიდი სურვილი მაქვს, მომავალში კვლავ ჩამოვიდე და ვიმუშავო.

What are the aspects of your work as choreographer today?

You know I have many jobs in these days; as French like to say, "I have a lot of caps". I take the choreographic work in case of special invitations. Other than that, I'm working as a coach for various companies, as a producer for touring and also for some artists to organize their contracts. I love to do choreography though, it's my inspiration.

Who supported the project of you coming to Georgia?

I was speaking to Nina about such possibility and I said it would be normal for the French Embassy to assist the project. The Embassy responded immediately and positively and that's how we organized it.

You expressed interest about "Laurencia" and the work of Vakhtang Chabukiani, the founder of the Georgian professional ballet art. Had you been familiar with his work before?

Not very familiar, but of course I saw movies about him. He was the real genius of dance and very modern for his time as well.

During the working process with the ballet companies, there are various aspects on which more work is needed. What is the topic which needs special work with the State Ballet of Georgia?

I would say that maybe here in ballet school they do not concentrate very much on contact with the floor, the articulation of it. And maybe it's good that I can improve that here.

And how would you assess the overall level of the Company?

I's a very strong company. I know Nina would like to have more strong boys here, but the Company is already very strong, beautiful, physical, with beautiful girls. I'm happy to work with them.

Thank you for your time. We hope there will be future meetings between us.

Thank you. I'm really passionate to come back and work again.

დავით მახათელი
David Makhateli

ნინო მდევაძე Nino Mdevadze

დავით მახათელის ბალეტით დაინტერესება გასაოცარი არავისთვის აღმოჩნდა. მისი ოჯახის წევრები – ბაბუა, მამა და დედა ბალეტის მსახიობები იყვნენ, ბებია – ოპერის გუნდის მომღერალი გახლდათ. ბალეტი, თეატრის სამყარო მისთვის ყოველდღიურობა იყო და ამიტომაც, თავისი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება სწორედ საბალეტო ხელოვნებას დაუკავშირა.

ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ის ლევან მხითარიანის, ბორის რახმანინისა და საკუთარი მა-



მის, ნუგზარ მახათელის მოსწავლე გახლდათ. ჭაბუკიანი ამ დროს უკვე ასაკში შესული იყო და გაკვეთილებს აღარ ატარებდა, მაგრამ ხშირად მიდიოდა სასწავლებელში, რაც პატარა მოცეკვავეებს დიდ სტიმულს აძლევდა.

სასწავლებლის დამთავრებისთანავე დათომ ლოზანის საერთაშორისო საბალეტო კონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც მან პირველი ადგილი დაიმსახურა და სტიპენდიით დაჯილდოვდა. ამ სტიპენდიის მეშვეობით მას ლონდონში, სამეფო საბალეტო სკოლაში, ორი წლით სწავლის საშუალება მიეცა. ეს უკვე შემდგომი დიდი წარმატების წინაპირობა იყო. ლონდონში დათო გერმან ზამუელის კლასში სწავლობდა. შემდომ იყო ბირმინგემის სამეფო ბალეტი, სადაც მხოლოდ ერთ წელიწადს დარჩა და ამსტერდამს მიაშურა. იქ ჰოლანდიის ნაციონალურ ბალეტში მიიწვიეს. მისი ბავშვობის ოცნებას სწორედ აქ ეწერა თურმე ასრულება. ამერიკელი ბენ სტივენსონის, ჰიუსტონის საბალეტო კომპანიის დირექტორის, მიწვევით დავით მახათელი ამ დასის წამყვანი სოლისტი ხდება.

დათო უდიდესი მადლიერებით აღნიშნავს ნინო ანანიაშვილის ღვაწლს მის წარმატებულ კარიერაში. მის ცხოვრებაში ბევრი რამ სწორედ ქალბატონი ნინოს მხარდაჭერითა და თანადგომით მოხდა. მისი რეკომენდაციები ყოველთვის დროული აღმოჩნდა და დათოსთვის ოდესღაც საოცნებო სცენებზე გამოსვლა რეალობად იქცა.

„თბილისში თავად დავრწმუნდი იმაში, რომ ქართული დასი, რომელსაც ქალბატონი ნინო ხელმძღვანელობს, მართლაც არაჩვეულებრივ ფორმაშია. მსოფლიო საბალეტო რუკაზე ნინო ანანიაშვილმა ქართულ ბალეტს თავისი ადგილი მიუჩინა“, – გვითხრა დათომ.

ამერიკაში შვიდწლიანი მუშაობის შემდეგ დავით მახათელი ინგლისის სამეფო ბალეტმა კენეტ მაკმილანის ბალეტ „მანონში“ დე გრიეს პარტიის შესასრულებლად მიიწვია. ამავე თეატრში იცეკვა მან რომეო ბალეტში „რომეო და ჯულიეტა“. 2004 წლიდან დავითი კოვენტ გარდენის პრემიერია, ინგლისის სამეფო თეატრში ის ყველა პარტიას ალექსანდრე აგაჯანოვთან ამზადებს.

საყვარელ და გამორჩეულ პარტიებზე საუბარს კლასიკური რეპერტუარით იწყებს. ევგენი ონეგინი ბალეტიდან „ონეგინი“, დე გრიე ბალეტიდან „მანონი“, რომეო ბალეტიდან „რომეო და ჯულიეტა“ – ამ პარტიებს ახალგაზრდა შემოქმედისთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. მისთვის ახლა საინტერესო მხოლოდ სცენაზე გამოსვლა და კარგი შესრულებაა.

თბილისში დავით მახათელის სტუმრობამ ქართველი მაყურებელი ძალიან გაახარა. თბილისს ის ალინა სომოვასთან ერთად ეწვია. იტალიაში მცირე დროით გადადებული მათი გასტროლების გამო, ეს ვიზიტი მოულოდნელად დაიგეგმა. მეგობრობის მიუხედავად, მათ პარტნიორობა ერთმანეთს პირველად გაუწიეს. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე „გედების ტბაში“ შედგა მათი დებიუტი.

When David Makhateli became interested in ballet, this wasn't a surprise for anyone – his grandfather and parents had pursued the same career, while grandmother had been an opera singer. Ballet was an everyday affair for him and so he chose to tie his life and work to the ballet world.

At the Vakhtang Chabukiani Tbilisi State Choreographic School he studied under the tutorship of Levan Mkhitariani, Boris Rakhmanin and his own father, Nugzar Makhateli. Chabukiani was too old to lead the classes, although used to visit them, which was a great boost for the young dancers.

Just after graduating from the School, David took part in the Lausanne International Ballet Contest, which he won and was awarded the scholarship – this enabled him to study for the two following years at the Royal Ballet in London, which was a great step towards the future success. He studied under German Zamuel in London, followed by a one-year work at the Royal Ballet of Birmingham. His childhood dream became a reality after moving to Amsterdam, to the National Ballet of Netherlands. He was spotted by Ben Stevenson, Houston Ballet Company Director, who invited David to become the Leading Soloist of the Houston Company.

David never forgets to mention the special role of Nina Ananiashvili in his career's advance. Her recommendations have always been timely, enabling the young dancer to achieve success.

"In Tbilisi I became the witness of the fact that the State Ballet of Georgia under the directorship of Nina has really got into great form – Nina put the Company on the map of the World Ballet." – he told us.

After dancing in the US for seven years, David was invited by the Royal Ballet for perfoming des Grieux in "Manon" by Kenneth MacMillan. There he also performed Romeo in "Romeo and Juliet" and became the Principal in 2004. All of his roles at the Company are prepared together with Alexander Agadjanov.

He begans counting his beloved roles with classical ballets – Evgeniy Onegin from "Onegin", des Grieux from "Manon", Romeo from "Romeo and Juliet" – these roles have a special importance for up-and-coming dancers. Now he has no dream roles, the goal now is to perform on a high level each time he's out on stage.

The Georgian audience was happy to have David performing in Tbilisi. He visited the capital to dance with Alina Somova. Their Italian tour had been postponed, so this visit was planned in a rather short time. Despite being friends, they partnered each other for the first time. Their debut was held in "Swan Lake", on the stage of Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre.

ალინა სომოვა
Alina Somova

ნინო მდევაძე Nino Mdevadze

ალინა სომოვა თბილისში მეგობრის, დავით მახათელის თხოვნით ჩამოვიდა და ოდეტა-ოდილიას პარტია იცეკვა „გედების ტბაში“. ეს მასთან პირველი გამოსვლა იყო სცენაზე. დათო ლონდონში გაიცნო და გადაწყვეტილებაც იქ მიიღეს.

ალინა მარიას თეატრის სოლისტია. საბალეტო ხელოვნებაში პირველი გაკვეთილები ოთხი წლის ასაკში მიიღო. ეს მხოლოდ დედის სურვილი იყო. სანკტ-პეტერბურგელი პატარა გოგონა, თავის მეგობართან ერთად, დედამ ბალეტზე მიიყვანა. მეგობარს მალე მობეზრდა ცეკვის დამღლელი გაკვეთილები და თავი მიანება. ალინამ კი ცეკვა საოცრად შეიყვარა. სწავლა ჯერ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, შემდეგ ა. ვაგანოვას სახელობის რუსული ბალეტის აკადემიაში განაგრძო.

უდიდესი სიყვარულით იხსენიებს იგი საკუთარ პედაგოგს ლიუდმილა საფრონოვას, რომელიც თავის დროზე არაჩვეულებრივი მოცეკვავე, ახლა კი საუკეთესო პედაგოგია. სასწავლებლის დამთავრებისთანავე იგი მარიას თეატრის კორდებალეტში ჩარიცხეს. თავდაპირველად მან ჩერნის ეტიუდებზე შექმნილ ბალეტში იცეკვა. ეს არ იყო იოლი ახალგაზრდა მოცეკვავისათვის. რამდენიმე დაბრკოლების მიუხედავად, ალინას თეატრში მისვლა ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. პირველი სერიოზული ნამუშევარი, როგორც ბალერინა თავად მიიჩნევს, იყო „გედების ტბა“. ყველაზე მეტ პასუხისმგებლობას ალინა თავისი მშობლიური მარიას თეატრის სცენაზე და ამ თეატრის მაყურებლის წინაშე გრძნობს. ეს, ალბათ, ბუნებრივია, რადგან გარემო, სადაც მას ყოველდღიურად უწევს მუშაობა, მისთვის გაცილებით ბევრს ნიშნავს.

„როგორც ამბობენ, სახლში უფრო კარგად უნდა გრძნობდე თავს, მაგრამ ჩემი აზრით, იქ უფრო დაძაბული ვარ, რადგან მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. იქ მაყურებელი არაფერს გაპატიებს. საზღვარგარეთ შედარებით იოლია ცეკვა, რატომღაც ვთვლი, რომ სხვაგან უფრო თბილად გხვდებიან. მიყვარს ამერიკელი მაყურებელი. ახლა თქვენი მაყურებელი შემიყვარდა. თბილისში არაჩვეულებრივად მიმიღეს. ქართული დასით ძალიან კმაყოფილი ვარ. მსახიობებს შორის არაჩვეულებრივი დამოკიდებულებაა. სხვანაირად, ალბათ, შეუძლებელია, თქვენს

ოდეტა – ალინა სომოვა.
პრინცი – დავით მახათელი. გედების ტბა
Odette – Alina Somova. The Prince – David Makhateli. Swan Lake

Alina Somova came on tour to Tbilisi after this idea was proposed by David Makhateli and danced the Odette-Odile role in “Swan Lake”. This was the first appearance in this role with David. They met in London and the decision of coming to the Tbilisi Theatre was made there too.

Alina is the Soloist of the Mariinsky Theatre. She had her first classes of the ballet art at the age of 4 – little girl from St. Petersburg went to the dance ballet with her friend, which was the wish of her mother. That friend became bored of classes and soon decided to abandon them, whereas Alina fell in love with dance and studied first at the choreographic school, before going to the A. Vaganova Academy of Russian Ballet.

She has a lot of love towards her teacher Ludmila Safronova, who had been a great dancer, before becoming an equally

დასს ხომ უდიდესი ბალერინა ნინო ანანიაშვილი ხელმძღვანელობს.“

ალინას რეპერტუარი უკვე მრავალფეროვანია, ის ცეკვავს წამყვან პარტიებს ბალეტებში „სილფიდა“, „კორსარი“, „ბაიადერა“, „მძინარე მზეთუნახავი“, „გედების ტბა“, „დონ კიხოტი“, „ჟიზელი“, „ძვირფასეულობა“, ტოკიოს ნაციონალური თეატრის სცენაზე იცეკვა მაშას პარტია ბალეტში „მაკნატუნა“. ახალგაზრდა ბალერინა ვაგანოვას სახელობის ბალეტის მსახიობთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია.

თბილისური გასტროლიდან მას შესანიშნავი შთაბეჭდილებები გაჰყვა. ცივი და წვიმიანი დღეების მიუხედავად, თბილისი ძალიან მოეწონა და იმ იმედით დაგვემშვიდობა, რომ შემდგომ სტუმრობას აუცილებლად მზიან და თბილ სეზონს დაამთხვევს.

fine pedagogue. After the graduation she was enrolled into the corps de ballet of the Mariinsky, where the first roles she danced were of the ballets created on etudes by Cherny, which was not an easy part for a young ballerina. Despite this, her arrival at the Theatre gradually became a success. The first important work for her was the appearance in “Swan Lake”. Alina feels the special responsibility in front of her native Mariinsky audience, and this is natural, as the environment where she performs on a daily basis on is the most important for her.

“They say you should feel the most relaxed at home, but I feel the double responsibility there. The audience will not let any mistakes go unnoticed. Dancing abroad is easier in my opinion, I even think people greet you warmer there. I love the US audience and now I love the crowd here in Tbilisi. People welcomed me here and the relationship between the dancers is wonderful. And probably this is natural, as you have the great Nina Ananiashvili as the Artistic Director.”

Alina’s repertory has become much broader now – the leading roles in “La Sylphide”, “Le Corsaire”, “La Bayadere”, “Sleeping Beauty”, “Swan Lake”, “Don Quixote”, “Giselle”, “Jewels”; performed Masha in “Nutcracker” on the Tokyo National Theatre stage and is the Laureate of the Vaganova International Ballet Artists’ Contest.

She took wonderful memories from her Tbilisi tour. Despite the cold and rainy days, she liked Tbilisi very much and promised to plan her next journey for a warmer period.

პრიმა–ბალერინა – პირველად სომხეთში

ნინო ანანიაშვილი თავს ვალდებულად თვლის მონაწილეობა მიიღოს საქართველო-სომხეთის კულტურულ დიალოგში

სასიამოვნოა იმის განცდა, რომ სომეხ მაყურებელს, რომელიც არ არის განებივრებული საბალეტო ხელოვნების აღიარებული სახეების ხილვით, საშუალება მიეცა სცენაზე იხილოს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი. მისი და საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გასტროლით გაიხსნა ქართული სეზონი სომხეთში.

3 და 5 მარტს, ქართული კულტურის სეზონის ფარგლებში საქართველოს კულტურის სამინისტრომ ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ თეატრში საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გასტროლი მოაწყო. სომეხ მაყურებელს ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა შესთავაზეს. „სერენადა“ (პ. ჩაიკოვსკის მუსიკაზე), ქართულ ხალხურ მუსიკაზე შექმნილი ბალეტი „საგალობელი“, „ექვსი ცეკვა“ (მოცარტი), „Green“ (ვივალდი), „სიზმრები იაპონიაზე“ (ლ.ეტო, ნ.იამაგუჩი, ა.ტოშა), „წამი გარდასახვამდე“. პროგრამა სომეხი მაყურებლისათვის სპეციალურად ისე შეირჩა, რომ იგი საინტერესო ყოფილიყო არა მხოლოდ უფროსი თაობისათვის, რომელიც კლასიკურ საბალეტო რეპერტუარზე გაიზარდა, არამედ ახალგაზრდებისათვისაც. პროგრამაში წარმოდგენილი ბალეტები სხვადასხვა ქორეოგრაფიული მიმდინარეობის ერთგვარ სინთეზს წარმოადგენენ: ნაჩვენები იქნა ჯორჯ ბალანჩინის შედევრები, რუსი იური პოსოხოვის ბალეტი (დიდი თეატრის ყოფილი პრემიერი, ამჟამად სანფრანცისკოში მოღვაწე ბალეტმაისტერი), ნიდერლანდების ცეკვის თეატრის დიდი ქორეოგრაფის ირჟი კილიანის და სხვათა ნამუშევრები. ბალეტები ცოცხალ მუსიკაზე სრულდებოდა, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის (დირიჟორი დავით მუქერია), ქართული ფოლკლორული ანსამბლისა (ხელმძღვანელი უჩა პატარიძე) და რუსი მუსიკოსების (მარკ პეკარსკის ხელმძღვანელობით) შესრულებით.

ჟურნალისტებთან შეხვედრისას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ მარიამ ჭოღოშვილმა განაცხადა, რომ მოხარულია გახსნას ქართული სეზონი სომხეთში. „ქართული სეზონები ჩვენი სამინისტროს სპეციალური პროგრამაა, რომელიც ტარდება პრეზიდენტ სააკაშვილის მხარდაჭერით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს დღეები ტარდება სომხეთშიც, რადგან ჩვენ ძალიან ახლო მეზობლები ვართ. ამიტომ გვინდოდა სომეხი მაყურებლისათვის სპეციალური პროგრამა შეგვეთავაზებინა. ამის საუკეთესო დადასტურებაა, რომ ამ დღეებს ნინო ანანიაშვილი და ქართული საბალეტო დასი ხსნის“.

ნინო ანანიაშვილმა, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ მოხარულია ჩვენს ქვეყანაში ყოფნით. „მე ხშირად მეპატიჟებოდნენ თქვენთან, მაგრამ ჩემი დატვირთული გრაფიკის გამო ვერ ჩამოვედი. და, აი, ბოლოს და ბოლოს ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ კულტურული პროგრამების გაცვლის ინიციატივა გამოხატა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ აქ დაგვხვდებოდა ძალიან თბილი და კეთილად განწყობილი მაყურებელი. ჩვენ ნათლად ვგრძნობთ, რომ აქ ახლობელი ადამიანები გვმასპინძლობენ. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცოდი, თუ ტერიტორიულად ასე ახლოს ვიყავით. ჩვენ არ უნდა ჩავიკეტოთ. უმჯობესია ყველაფერი საკუთარი თვალით დავინახოთ, ვიდრე სხვისი ნაამბობით გავიგოთ.“

ჟურნალისტები სიამოვნებით უსმენდნენ პრიმა-ბალერინას ნაამბობს, თუ რა შეძლო მან ხუთი წლის განმავლობაში, რას მიაღწია ქართულმა საბალეტო დასმა.

ქართულ სეზონს სომხეთში თბილისის სიმფონიური ორკესტრი გააგრძელებს (დირიჟორი ვახტანგ კახიძე), რომელიც კონცერტებს გამართავს ა. ხაჩატურიანის სახელობის კონსერვატორიის დარბაზში.

ირინა აბროიანი
Республика Армения, 06. 03 2009

ათწლიანი პაუზის შემდეგ ქართული საბალეტო დასი კვლავ ეწვია ერევანს. 3-5 მარტს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, პროექტის – ქართული სეზონის ფარგლებში სომხეთში საქართველოს სახელმწიფო ბალეტის გასტროლი მოაწყო. პროგრამა, რომელიც ერთმოქმედებიანი ბალეტებისაგან შედგებოდა, სომეხმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო. ალექსეი რატმანსკის ცნობილ ბალეტში „სიზმრები იაპონიაზე“ თავად ნინო ანანიაშვილი ცეკვავდა. ეს პრიმა-ბალერინას პირველი გამოსვლა გახლდათ სომხეთში. გთავაზობთ ერთ-ერთ პუბლიკაციას იმ მრავალრიცხოვან პუბლიკაციათა შორის, რომელიც სომხურ პრესაში გამოქვეყნდა.

After a ten-year break, the State Ballet of Georgia revisited Yerevan. Ministry of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia organized the tour on March 3–5, in frame of the Georgian Season in Armenia. The mixed bill program, consisting of one-act ballets, has been received well by the audience. Nina Ananiashvili was performing herself in Alexei Ratmansky's well-known "Dreams About Japan" – this was her first appearance in Armenia. Below is one of the many publications in Armenian press.

The Prima Ballerina for the First Time in Armenia

NINA ANANIASHVILI FEELS SHE HAS TO TAKE PART IN GEORGIAN-ARMENIAN CULTURAL RELATIONS

It's very nice to see the Armenian audience, not used to seeing the iconic faces of the world ballet, being present to the performance by Prima Ballerina Nina Ananiashvili. The Tour of her State Ballet of Georgia opens the Georgian Season here.

On March 3 and 5, in frame of the Georgian Season, the Ministry of Culture of Georgia organized the tour of the State Ballet of Georgia in the A. Spendyarov National Theatre of Opera and Ballet. The one-act ballet program was presented to the Armenian audience. "Serenade" (on music by P. Tchaikovsky), "Sagalobeli", set on the Georgian folk music, "Sechs Tänze" (W.A. Mozart), "Green" (A. Vivaldi), "Dreams About Japan" (L. Eto, N. Yamaguchi, A. Tosha). The program has been set-up to be interesting both for the audience used to classical ballets and to the younger watchers. The works represented mix of the various choreographic trends – masterpieces by George Balanchine, Yuri Possokhov's (former Principal of the Bolshoi Theatre, currently working in San Francisco) ballet, works by the great choreographer of the Nederlands Dance Theatre Jirí Kylián, and others.

The ballets were being performed on live music, by the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre orchestra (conductor David Mukeria), Georgian Folk Music ensemble (manager Ucha Pataridze), and the Russian musicians of the Mark Pekarsky group.

The Deputy Minister of Culture, Monuments Protection and Sport of Georgia, Mr. Marina Tchogoshvili, told the journalists that she was pleased to open the Georgian Season in Armenia. "The Georgian Season is a special program of our Ministry, supported by President Saakashvili. It is important to us to have these days presented in Armenia as well, as we are such close neighbours. This is why we wanted to present this program to the audience here – Nina and State Ballet of Georgia presenting their works here is the best proof of this."

Nina Ananiashvili, the Artistic Director of the Company, announced her pleasure of visiting our country. "I had been invited to Armenia many times, although could not manage it because of the tight schedule. Now I'm pleased that our Government expressed it's will to prepare this kind of cultural program. I was confident that warm audience would greet us here and we all feel we are performing in front of the people who are close to us. And I did not even know we were so close in geographical sense. It is important to be open to the world and to look at things with your own eyes, instead of hearing stories about the things going on abroad."

The journalists listened with great interest to the Prima Ballerina telling stories about the achievements of the State Ballet of Georgia for the last five years.

The Georgian Season in Armenia will be carried on by the Tbilisi Symphonic Orchestra (conductor Vakhtang Kakhidze), performing at the A. Khachaturyan Conservatory Hall.

IRINA ABROYAN
Republic Armenia, 06.03.2009

საბალეტო დასის მსახიობები ერევნის ოპერის თეატრში
The Ballet Company at the Yerevan Opera Theatre



სოლომონ ვირსალაძე

Solomon Virsaladze

ლარისა ნადარეიშვილი *Larisa Nadareishvili*

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საბალეტო ხელოვნების განვითარებაში სოლომონ ვირსალაძის მიერ განხორციელებული იდეები გარდამტეხი აღმოჩნდა. პირველი ქართული ბალეტის შემქმნელები – ვახტანგ ჭაბუკიანი, ანდრია ბალანჩივაძე და სოლომონ ვირსალაძე მაღალი მხატვრული ოსტატობის, მხატვრული ხერხების გამოყენების უზადო კულტურის მქონენი აღმოჩნდნენ. სოლომონ ვირსალაძემ ეს ხაზი შემდგომში პეტერბურგსა და მოსკოვში გააგრძელა, სადაც მრავალი საბალეტო შედევრი შექმნა. დიდი სცენოგრაფის დაბადების 100 წელი იანვარში აღინიშნა.

თბილისში, ვირსალაძის ქუჩაზე, დიდი მხატვრის ყოფილ სახელოსნოში მისი მოსწავლე, მხატვარი, სცენოგრაფი და სკულპტორი მურაზ მურვანიძე მუშაობს. ახლა სწორედ ამ სახელოსნოში მივდივარ. სახელოსნომ მომაჯადოვა ინტერიერის სილამაზით, ახლანდელი პატრონის ნამუშევრებითა და მისი სასიამოვნო საუბრით, რომელსაც მე მუდამ ვთვლიდი ვირსალაძის ნოვატორული იდეების გამგრძელებლად.

საუბარი სოლომონ ვირსალაძეზე მისთვის სასიამოვნოც აღმოჩნდა და საპატიოც:

იგი თავად განასახიერებდა კულტურას

„ბედნიერ ადამიანად ვთვლი თავს, – მითხრა ბატონმა სოლიკომ, რომ ჯერ კიდევ ახალბედა მხატვარმა ამ სავანის კარი შევაღე. ბატონ სიმონს დეკორატიულ სამუშაოებში ვეხმარებოდი. იგი საკმაოდ სიტყვაძუნწი იყო, ყოველთვის იცავდა დისტანციას – „პედაგოგი-მოწაფე“; იშვიათად თუ შეხედავდა ნამუშევარს და ორიოდ შენიშვნას გადმოგიგდებდა – ზოგჯერ საქებარს, ზოგჯერ კი მწარედ ნათქვამს. მასთან ურთიერთობაში აღმოვაჩინე ახალი სამყარო, რადგან ბატონი სიმონი განასახიერებდა კულტურას, რომელიც მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო თეატრთან, განსაკუთრებით კი – ბალეტთან.

ჩვენ, მისი მოსწავლეები, მას ლამაზი და იდუმალი თვალებისათვის „შავ გედს“ ვეძახდით – იგი იყო ლამაზი, დიდებული, კეთილშობილი და თავისებურად უნიკალური; ანალიტიკურად მოაზროვნე ხელოვანს შეეძლო ცხოვრებისეული შთაბეჭდილებებიდან მხატვრულად განსახიერებული ჭეშმარიტების შექმნა, რითაც იგი მაყურებელს „ესაუბრებოდა“; თეატრი მისთვის იყო ტრიბუნა, საიდანაც იგი ქადაგებდა მარადიულ ფასეულობებს – სრულყოფილი და ნატიფი ფორმით მოსილს. ბუნებით ესთეტი იგი ვერ ეგუებოდა უღიმღამობას ვერც ყოფაში და მით უმეტეს, ვერც ხელოვნებაში.

ბატონი სოლიკო მეგობრობდა მხოლოდ იმ ადამიანებთან, რომლებშიც აღმოაჩენდა არაორდინალურ ტალანტს მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, პოეზიაში, კინოში...

მისი ესთეტიკური მრწამსი ყალიბდებოდა სანდრო ახმეტელის, კოტე მარჯანიშვილის, ირაკლი გამრეკელის თეატრალური იდეების უშუალო ზეგავლენით. სწორედ მათგან მიიღო მან მემკვიდრეობით უნარი, შეექმნა მუსიკალური და ქორეოგრაფიული დრამატურგიის ტოლფასი სცენოგრაფიული დრამატურგია. ვირსა-

He Embodied the Culture

Solomon Virsaladze's ideas, implemented in the development of the ballet art from the beginning of the XX century, are equal to the choreography and music. The creators of the first Georgian ballet – Vakhtang Chabukiani, Andria Balanchivadze and Solomon Virsaladze have been the ones who applied the artistic virtuosity through their cultural approach. Solomon Virsaladze then carried on this way in St. Petersburg and Moscow, creating ballet masterpieces. The 100 Anniversary of the stagecraftsman was celebrated in January.

Muraz Murvanidze, stage craftsman and sculptor, the pupil at the great artist, works in Tbilisi, on the Virsaladze Street. This is the workshop I'm going to now. It has a beautiful interior, the works of the current owner and his pleasant talk.

The Virsaladze topic appeared to be both interesting and honourable for him:

"I consider myself a happy man, as I entered this place as a young artist. I used to assist Mr. Solomon in his decorating work. He was quite a taciturn person and always held a line between a pedagogue and his pupil. He would look now and then at the work and say only a couple of words about it – sometimes an encouragement, sometimes criticizing. The relationship with him opened a new world of culture for me, as he embodied the essence of the theatre, and especially the ballet.

ლაძის მხატვრობის მუსიკალურ კოლორიტსა და მისი დეკორაციებისა და კოსტიუმების ბალეტურობაზე მიუთითებდა ბალეტის ცნობილი კრიტიკოსი ვერა კრასოვსკაია, რომლის თვალწინ გაიარა ბატონი სოლიკოს პეტერბურგულმა შემოქმედებამ.

ბატონი სოლიკო არაჩვეულებრივად გონებამახვილი გახლდათ. მაგონდება, ერთხელ მარიას თეატრში, სამხატვრო საბჭოზე, პარტიული კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, თავგადადებულმა მეთევზემ, გადაწყვიტა გესლიანი შენიშვნა მიეცა ვირსალაძისთვის. იგი თავის „ავტორიტეტულ" შენიშვნას „გედების ტბის" ახალი დეკორაციების შესახებ გამოთქვამდა და სცენოგრაფს საყვედურობდა, რომ ბალეტში არსად ჩანდა ტბა, რაზეც ვირსალაძემ იქვე მიუგო: „ცნობილი მეთევზის პოზიციებიდან თქვენ, შეიძლება, სწორიც იყოთ".

მარიას თეატრში მუშაობისას მე ხშირად მესმოდა მის მიმართ საქებარი სიტყვები. მას, როგორც ვახტანგ ჭაბუკიანს, ღიად უწოდებდნენ მარიას თეატრის „რაინდს", ხოლო პეტერბურგისა და მოსკოვის თეატრების კოსტიუმების საამქროს თანამშრომლებმა მის მიერ შექმნილი კოსტიუმების სამუზეუმო კუთხეების მოწყობაც კი მოახერხეს და არავის აძლევდნენ მათთან მიკარების უფლებას.

რაც შეეხება ჩემს ყოფნას ამ სახელოსნოში, ეს ნამდვილად განგებამ ისურვა ასე. პრეტენდენტები მრავლად იყვნენ, წილისყრაში კი ბედმა მე გამიღიმა! თუ როგორ მოხდა ეს, დღემდე ვერ ამიხსნია.



მე ვლოცავ ამ სახლსა და მის პატრონს, ყოველთვის მახსოვს მისი კეთილგანწყობა ჩემდამი; ვერ ვივიწყებ იმასაც, რომ მოსკოვის დიდ თეატრში მისი გადასვლის შემდეგ, დიდი შემოქმედის კაბინეტი მარიას თეატრში მე დავიკავე, როგორც თეატრის მთავარმა მხატვარმა. ფანტასტიკაა, არა?!"

We, his pupils, called him "The Black Swan", for his beautiful, deep eyes – he was wonderful, noble and unique; he possessed the analytical sense, which enabled him to create artistic truth from the experiences of life. The theatre was a tribune for him, used for preaching about the new values. He could not stand the greyness in everyday life and especially in art.

Mr. Soliko's friends were those who possessed the special talent in music, choreography, movies and other fields of art.

His aesthetic essence developed in the atmosphere created by Sandro Akhmeteli, Kote Marjanishvili and Irakli Gamrekeli. From them he was granted the ability to create the stage dramaturgy equal to those of music and choreography. The ballet type of Virsaladze's decorations and costumes, as well as their musical vividity, was noted by the well-known ballet critic Vera Krasovskaya, who was the witness of Mr. Soliko's Petersburg period.

Mr. Soliko was an especially quick-witted person. Once at the Mariinsky Theatre's artistic council, one of the party's committee members, a dedicated fisherman, decided to make a "professional" negative note about Virsaladze and stated that no lake was visible on the new decorations for "Swan Lake". "You may be right from a well-known fisherman's perspective", replied Virsaladze.

Working at the Mariinsky, I used to hear his praise from all around. He was called "The Knight of the Mariinsky", while the workers of the St. Petersburg and Moscow Theatre workshops created the museum corners for costumes created by him and allowed no-one to them.

Regarding my own work at this workshop. This was the fate indeed. There were many pretenders for the role, although I became the lucky one! I cannot explain how that happened, not even now.

I always have this house and it's owner in my mind, remember his goodwill towards me and especially think about the fact that after he moved to the Moscow Bolshoi Theatre, I took his position of the Leading Designer at the Mariinsky. Incredible, isn't it?"

7 დეკემბერს ირჟი კილიანის ბალეტში „ექვსი ცეკვა“ პირველად იცეკვეს ლაშა ხოზაშვილმა, ეკა მარშანიამ და სარო კარიჭაშვილმა.

19 დეკემბერს მერკუციოს პარტია ბალეტში „რომეო და ჯულიეტა“ პირველად იცეკვა დავით ხოზაშვილმა.

On December 7, Lasha Khozashvili, Eka Marshania and Saro Karichashvili had their debuts in “Sechs Tänze” by Jirí Kylián.

On December 19, the Merkutio part in “Romeo and Juliet” was performed for the first time by David Khozashvili.

მარი – ნინო მახაშვილი. პრინცი – ლაშა ხოზაშვილი. მაკნატუნა
Marie – Nino Makhashvili. The Prince – Lasha Khozashvili. The Nutcracker

მარი — ანა მურადელი. მაკნატუნა
Marie – Anna Muradeli. The Nutcracker

27 დეკემბერს მარის პარტია ბალეტში „მაკნატუნა“ პირველად იცეკვა ანა მურადელმა. **9 იანვარს** მარის პარტია ბალეტში „მაკნატუნა“ პირველად იცეკვა ნინო მახაშვილმა.

ბალეტ „მაკნატუნაში“ პირველად იცეკვეს: **27 დეკემბერს** – მაკნატუნა-თოჯინა – ნიკოლოზ ფეიქრიშვილმა; **28 დეკემბერს** – ალქაჯი – სოფო ფანცულაიამ; **9 იანვარს** – ფრანგული თოჯინა – ანა გორგიაშვილმა; კოლომბინა – გვანცა გავაშელიშვილმა; ალქაჯი – ეკა მარშანიამ; **10 იანვარს** – ესპანური თოჯინა – ნინო მათიაშვილმა; ფრანგული თოჯინა – ანა ტურაზაშვილმა; ჩინური თოჯინა – ეკატერინე ლომინაძემ; **11 იანვარს** – ფრიცი, მარის ძმა – ნინო ცხვედიანმა.

On December 27, Anna Muradeli danced the Marie role for the first time in “Nutcracker”. **On January 9**, Nino Makhashvili performed the Marie role for the first time in “Nutcracker”.

The first “Nutcracker” performances were danced by: **December 27** – the Nutcracker toy – Nikoloz Pheikrishvili; **December 28** – the Witch – Sopho Phantsulaia; **January 9** – the French Toy – Anna Gorgiashvili; Columbine – Gvantsa Gavashelishvili; The Witch – Eka Marshania; **January 10** – the Spanish Toy – Nino Matiashvili; The French Toy – Anna Turazashvili; The Chinese Toy – Ekaterine Lominadze; **January 11** – Fritz, the Marie’s Friend – Nino Tskhvediani.

15 თებერვალს „გედების ტბაში“ ოდეტა-ოდილიას პარტიაში პირველი გამოსვლა ჰქონდა ნინო გოგუას. ამავე სპექტაკლში ნეაპოლიტანური ცეკვა პირველად იცეკვა ნიკოლოზ ფეიქრიშვილმა.

On February 15, the Odette-Odile role of the “Swan Lake” was danced for the first time by Nino Gogua. The same evening the Neapolitan dance was performed for the first time by Nikoloz Pheikrishvili.

21 თებერვალს „საგალობელში“ ადაჟიო, ნინო გოგუასთან ერთად, პირველად იცეკვა ირაკლი ბახტაძემ.

21 თებერვალს „ექვს ცეკვაში“ პირველი გამოსვლა ჰქონდა უილიამ პრატს, რომელიც ახალი ზელანდიის სამეფო ბალეტიდან ჩამოვიდა და ჩვენს დასში მუშაობს. მანვე **22 თებერვალს** იცეკვა ერთმოქმედებიან ბალეტში „წამი გარდასახვამდე“.

4 და 5 აპრილს ფრედერიკ ეშტონის ერთმოქმედებიან ბალეტში „დღესასწაული“ პირველი გამოსვლა ჰქონდათ ნინო მათიაშვილს, ეკა ჩუბინიძეს, შორენა ხაინდრავას, გვანცა გავაშელიშვილს, ანა ტურაზაშვილს, ნინო მახაშვილს. **5 აპრილს** ეშტონის პროგრამაში „კატა“ პირველად იცეკვა ეკატერინე ლომინაძემ.

On February 21, in “Sagalobeli”, Adagio, was danced for the first time by Irakli Bakhtadze, with Nino Gogua.

On February 21, William Pratt, arrival from the Royal New Zealand Company, now working at State Ballet of Georgia, had his debut in “Sechs Tänze”. **On February 22** he performed in the one-act ballet “Second Before the Ground”.

On April 4 and 5, in the Frederick Ashton’s one-act ballet “Birthday Offering”, Nino Matiashvili, Eka Chubinidze, Shorena Khaindrava, Gvantsa Gavashelishvili, Anna Turazashvili and Nino Makhashvili have had their first performances. On April 5, in Ashton’s Program, Ekaterine Lominadze had her debut in “La Chatte”.

მერკუციო – დავით ხოზაშვილი. რომეო და ჯულიეტა
Merkutio – David Khozashvili. Romeo and Juliet

დავით ანანიაშვილი
David Ananiashvili



ესპადა – დავით ანანიაშვილი. დონ კიხოტი
Espada – David Ananiashvili. Don Quixote

ქორეოგრაფიულ სასწავლებელში 10 წლის ასაკში მიიყვანეს. თავდაპირველად ლანა აბულაძესთან მუშაობდა, შემდეგ კი ლევან მხითარიანთან გააგრძელა მეცადინეობა. 2003 წლიდან დავით ანანიაშვილი საბალეტო დასის მსახიობია. ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში მრავალი პარტია მოამზადა. პირველი სერიოზული ნამუშევარი კი გახლდათ ესპადა ბალეტში „დონ კიხოტი“.

„დიმა კორნეევთან, იულიანა მალხასიანცთან და ანდრეი კუდელინთან მუშაობა ესპადას პარტიაზე ძალიან საინტერესო გამოდგა. ყველაზე საინტერესო კი ჩემთვის მაინც ბალანჩინის ფონდის ბალეტმაისტერთან ბარტ კუკთან მუშაობა იყო. ჩვენ რუსულ კლასიკურ საბალეტო სტილზე ვართ გაზრდილები და ცოტა ძნელიცაა სხვა სტილის უცებ გათავისება, ამას დრო სჭირდება. უფრო კლასიკა მაინტერესებს. თუმცა იმდენი საინტერესო ქორეოგრაფი და ბალეტმაისტერი ჩამოდის, რომ მათთან მუშაობა დიდი გამოცდილებაა მოცეკვავისათვის“ – ამბობს დავით ანანიაშვილი. მიმდინარე სეზონის ყველაზე წარმატებულ პროექტში – ირჟი კილიანის ბალეტში „ექვსი ცეკვა“ დავითს სრულიად განსხვავებული სახის შექმნა მუხდა. ეს ერთაქტიანი ბალეტი მოცეკვავისაგან მხოლოდ ტექნიკურ შესრულებას არ მოითხოვს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმპროვიზაციას, გარდასახვას. თავდაპირველად მუშაობა ცოტათი რთული აღმოჩნდა, მაგრამ ნიდერლანდელმა ქორეოგრაფებმა მსახიობებს სამუშაო გაუადვილეს. დასიც ინტერესით ჩაერთო დადგმის პროცესში და შედეგიც წარმატებული აღმოჩნდა.

დათო, თეატრის გარდა, საბალეტო სასწავლებლის სპექტაკლებშიც არის დაკავებული და თავის მომავალ კოლეგებთან ერთად საინტერესო სცენიურ სახეებს ქმნის. გასულ წელს მან პრინცის ორი განსხვავებული პარტია იცეკვა პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბის“ მეორე მოქმედებაში და ს. პროკოფიევის „კონკიას“ მიხედვით დადგმულ ერთმოქმედებიან ბალეტში „კონკიას სიზმარი“ (ქორეოგრაფი ნუკრი მაღალაშვილი).

Went to the choreographic school at the age of 10. Worked with Lana Abuladze, before continuing the studies with Levan Mkhitariani. Became the artist of the Ballet Company in 2003 and prepared many roles for the last five seasons. His first important work was the Espada role in “Don Quixote”.

“Working on the Espada with Dima Korneev, Yuliana Malkhasiants and Andrei Kudelin was a really interesting experience for me, although even more interesting was the work done with Bart Cook, the Balanchine Trust Ballet Master. After being brought up on the Russian ballet style it’s difficult to become familiar with a new way - it takes time. I’m more interested in classics, although there are so many interesting choreographers visiting us that it’s always an important experience to work with them.” – says David. In the most successful project of the current season – Jirí Kylián‘s “Sechs Tänze” – he had to create a totally different character. For this work a dancer not only needs to fullfil the technical part, but also to improvise, to be transitive. The work created some difficulties for him at the beginning, although the choreographers from the Netherlands made it easier for him and the Company also went into the work enthusiastically, making the project a success.

Besides being present in the Theatre works, David also takes part in performances of the Ballet School and creates interesting characters with his future colleagues. He danced the two different roles of the Prince from the act 2 of P. Tchaikovsky’s “Swan Lake” and from the one-act ballet “Cinderella’s Dream” (choreographer Nukri Maghalashvili), based on “Cinderella” by S. Prokofiev.

საქველმოქმედო აქციის წინ
Ahead of the charity act

საქველმოქმედო აქცია
Charity Performance

7 დეკემბერს, ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებამ და საბალეტო დასმა შიდა ქართლში კონფლიქტის დროს იძულებით გადაადგილებულ 1000-ზე მეტ ბავშვს უმასპინძლა თეატრში. მათთვის საგანგებოდ შეირჩა ერთმოქმედებიანი ბალეტების პროგრამა „საგალობელი“, „ვარიაციები“ და „ექვსი ცეკვა“.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარემ მარიელა ტეფტმა, საქველმოქმედო საღამოს წინ, თეატრში შეკრებილ ბავშვებს სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა ღონისძიების მხარდაჭერებსა და სპონსორებს – ქალაქ თბილისის მერიას, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომელთა მიერ მოხერხდა კონფლიქტის რეგიონიდან ბავშვების თბილისში ტრანსპორტირების ორგანიზება; ასევე შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“, „მაკდონალდსა“ და „ნესტლეს“. მათ მიერ ამ დღისათვის მომზადებულმა საჩუქრებმა გაახარეს პატარები. აქციის ორგანიზებისათვის მადლობა დაიმსახურეს საბალეტო დასმა და ბალეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ქეთი ნოზაძემ.

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი მიესალმა ბავშვებს და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, მსახიობებს, მუსიკოსებს და თეატრის პერსონალს, რომლებმაც, უანგაროდ, ყველაფერი გააკეთეს ამ აქციის ჩასატარებლად.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების სახელით ბავშვებს საჩუქრად დაურიგდათ მაისურები.

On December 7, the Friends of the Georgian Ballet and the State Ballet of Georgia welcomed more than 1000 displaced children from the Shida Kartli region. A mixed bill program consisting of “Sagalobeli”, “Bizet Variations” and “Sechs Tänze” was presented.

Chairman of the FGB, Mrs. Mariella Tefft addressed the children prior to the performance and thanked the sponsors and supporters of the evening – Tbilisi Cityhall, the Ministry on Refugees and Resettlement of Georgia, with the help of which the children from the conflict region had been transported to Tbilisi; the “Coca-Cola Bottlers Georgia” LTD., “McDonald’s” and “Nestle”. Their presents to the children have been joyfully received. Thanks for the organizing the evening went to the State Ballet of Georgia and the Public Relations Manager of the Company, Mrs. Keti Nozadze.

Nina Ananiashvili, the Artistic Director of the Company, greeted the children and thanked the organizers of the evening, the actors, the musicians and the personnel of the Theatre, who had prepared the performance disinterestedly.

The children have been presented with the shirts from the Friends of the Georgian Ballet.

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის, ნინო ანანიაშვილის ინიციატივით თებერვალსა და აპრილში მოეწყო საქველმოქმედო აქცია „ხელოვნება ყველასათვის“. 1 თებერვალს, ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამოზე, ბალეტის ადმინისტრაციამ მზრუნველობას მოკლებული, ინვალიდი და დევნილი 400 ბავშვი მოიწვია.

ასეთივე აქცია ჩატარდა 5 აპრილს. წარმოდგენილი იქნა ფრედერიკ ეშტონის ბალეტები „დღესასწაული“, საბალეტო მინიატურები და „მარგარიტა და არმანი“, რომელშიც მთავარი პარტია პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილმა შეასრულა. საქველმოქმედო წარმოდგენას უფასოდ დაესწრნენ აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან დევნილები, მატერიალურად ხელმოკლე ოჯახები და სტუდენტები.

As an initiative from the Artistic Director of the Ballet Company, Nina Ananiashvili, charity acts “Art for Everyone” were organized in February and April. On February 1, the Ballet Company Administration invited 400 children disabled, displaced and with limited care.

The same type of evening took place on April 5. Presented were Frederick Ashton’s “Birthday Offering”, the ballet miniatures and “Marguerite and Armand”, casting Prima Ballerina Nina Ananiashvili in the leading role. The charity performance hosted refugees from Abkhazia and Shida Kartli region, as well as materially limited families and students.

1.	ვახტანგ ანანიაშვილი Vakhtang Ananiashvili	ოქროს წრე Gold
2.	პერ და ულა იკლუნდები Per Eklund and Ulla Lindhe Eklund	ოქროს წრე Gold
3.	გრიგოლ ვაშაძე Grigol Vashadze	ოქროს წრე Gold
4.	პიტერ მაქდაუელი და ნატაშა კონონენკო Peter J. McDowell and Natasha Kononenko	ოქროს წრე Gold
5.	ლუკ ჟანსენსი Luc Janssens	ოქროს წრე Gold
6.	დოქტორი ედვარდ რაუპი Dr. Edward Raupp	ოქროს წრე Gold
7.	ელვირა სანდალი Elvira Sandalli	ოქროს წრე Gold
8.	ჯონ და მარიელა ტეფტები John F. Tefft and Mariella C. Tefft	ოქროს წრე Gold
9.	ტონი ტოშევი Toni Ivanov Toshev	ოქროს წრე Gold
10.	მარკ და ლილი ჰაუფები Mark Hauf and Lily Hauf	ოქროს წრე Gold
11.	ნენსი ჰარისი Nancy Pendarvis Harris	ოქროს წრე Gold
12.	სილვა აკოპიანი Silva Akopian	ვერცხლის წრე Silver
13.	პიერ არლოვი Pierre Orloff	ვერცხლის წრე Silver
14.	ჟანის გარდინა Janis Gardina	ვერცხლის წრე Silver
15.	მერილის სევილია-გონზაგა Marylis Sevilla-Gonzaga	ვერცხლის წრე Silver
16.	ონო ელდერენბოსხი Onno Elderenbosch	ვერცხლის წრე Silver
17.	სინთია ვითლესი Cyntia Whittlesey	ვერცხლის წრე Silver
18.	მაიუმი ინო Mayumi Iino	ვერცხლის წრე Silver
19.	ლია მაჭავარიანი Lia Machavariani	ვერცხლის წრე Silver
20.	ჯინჯერ მინგესი Jinjer Minges	ვერცხლის წრე Silver
21.	ვირჯინია მინგესის ხსოვნის საპატივცემულოდ In memory of Virginia Minges	ვერცხლის წრე Silver
22.	დაგმარ რაუდამ Dagmar Raudam	ვერცხლის წრე Silver
23.	ნინო სვანაძე Nino Svanadze	ვერცხლის წრე Silver
24.	ლიკა საღარაძე Lika Sagaradze	ვერცხლის წრე Silver
25.	იზუმი ტაკაჰაში Izumi Takahashi	ვერცხლის წრე Silver
26.	დენის და კატერინა ქიფები Denis Keefe and Catherine Keefe	ვერცხლის წრე Silver
27.	ელდარ და ნელი შენგელაიები Eldar Shengelaia and Neli Shengelaia	ვერცხლის წრე Silver
28.	მერი შიჰანი Mary Sheehan	ვერცხლის წრე Silver

ჟურნალ "*Arabesque*" წინა ნომერში, ***„ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების“*** წევრთა ინგლისურენოვანი სიიდან, ტექნიკური მიზეზების გამო, გამორჩენილ იქნა ბატონ ედვარდ რაუპის სახელი და გვარი. რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ ედვარდს უნებლიე შეცდომის გამო.

The editorial staff of the ***Arabesque*** magazine sincerely apologizes to Dr. Edward R. Raupp, Chancellor of the University of Georgia, for omitting his name from the English version of the list of Members of the ***Friends of the Georgian Ballet*** in the previous issue of the magazine.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების წევრთა სია

LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS OF THE GEORGIAN BALLET

სეზონი 2008/09 SEASON

ნახევარი საუკუნე ბალეტთან ერთად

ლარისა ნადარეიშვილისთვის, ბალერინასა და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორისათვის, 2009 წელი საიუბილეოა. 50 წელია იგი ემსახურება ცეკვის ხელოვნებას როგორც მსახიობი, ბალეტის ისტორიკოსი, ჟურნალისტი და თორეტიკოსი. ყველაფერი კი ერთი პატარა სახლის ეზოში, საბავშვო წარმოდგენებით დაიწყო. განვლილი შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ თავად ქალბატონი ლარისა გვიამბობს:



ირემა – ლარისა ნადარეიშვილი. გორდა
Irema – Larisa Nadareishvili. Gorda

„ვცხოვრობდით სპენდიაროვის სახელობის ოპერის თეატრის გვერდით, სადაც ჩემს დასთან ერთად ყოველ კვირადღეს მივდიოდით სპექტაკლებზე. ერთხელაც დედაჩემს მეგობარმა, ქორეოგრაფიული სასწავლებლის პიანისტმა, აცნობა, რომ ჩამობრძანდა გალინა ულანოვას პარტნიორი ობუხოვი, რომელიც საბალეტო ჯგუფს აყალიბებდა. მიმიღეს ამ ჯგუფში, შემდეგ კი ვაგანოვას მოსწავლის ბაგანკოვას ჯგუფში გადამიყვანეს.

სასწავლებლის ყველა პედაგოგი ალყაშემორტყმული ლენინგრადიდან იყო გადმოხვეწილი. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ისინი თეატრშიც ცეკვავდნენ. სწორედ მათ ჩამინერგეს ბალეტის, მუსიკისა და თეატრის სიყვარული. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დილემის წინაშე აღმოვჩნდი – უმაღლეს სასწავლებელში შევსულიყავი თუ ბალერინას პროფესია ამერჩია. ბოლოს მაინც ეს უკანასკნელი ავირჩიე და სასწავლებლად მოსკოვში გავემგზავრე, სადაც გალინა პეტროვას კლასში მოვხვდი. ჩვენ არ გვაკმაყოფილებდა მხოლოდ ერთი გაკვეთილი კლასიკაში და ხშირად ამოვყოფდით თავს ხან ელიზავეტა გერდტის კლასში, ხან ტარასოვასთან და ხანაც ლაფაურთან.

ერთხელაც სასწავლებელში ხმა დაირხა, რომ ჩამოვიდნენ ქართველები და ბალეტი-საოცრება „ოტელო“ ჩამოიტანესო. ეს იყო 1958 წელი, ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში.

უეცრად აღმოვჩნდი ყურადღების ცენტრში. ვლადიმერ ვასილიევმა „ოტელოს“ ბილეთი მომიტანა და სპექტაკლის დასრულების შემდეგ განაცხადა: „თუ არ გავხვდები დიდი თეატრის პრემიერი, უეჭველად გადავალ თბილისში – ვახტანგ ჭაბუკიანთან“. იმავე დღეებში თეატრთან მოულოდნელად შევხვდი ჭაბუკიანს. მივედი და პირდაპირ ვუთხარი: „მე ქართველი ვარ!“ მან გამიღიმა და მკითხა: „აქ, მოსკოვში რას აკეთებ?“ შემდეგ კი საქმიანად შემათვალიერა, ფეხებზე დამაკვირდა და მითხრა: „სტაჟირებას რომ მორჩები, თბილისში ჩამოდი“, მისამართი გამომართვა და ზუსტად

ოთხი თვის შემდეგ მივიღე მის მიერ ხელმოწერილი დეპეშა, რომლითაც სამუშაოდ მიწვევდა თბილისში.

ჩემს სასცენო ბიოგრაფიაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ბალეტმა „გორდა“. ეს სპექტაკლი ყოველთვის იყო საზღვარგარეთული გასტროლების რეპერტუარში, „გორდათი“ იხსნებოდა და იხურებოდა თეატრის საბალეტო სეზონი. ბალეტს დიდი წარმატება ჰქონდა პარიზში, მოსკოვში, ლენინგრადში, ლოძში, სეგედში, სოჭში... განსაკუთრებით გამაოცა პარიზმა, სადაც მაყურებელთა შორის მრავლად იყვნენ ქართველი ემიგრანტები. როგორც ირემას როლის ერთადერთ შემსრულებელს, ზედიზედ შვიდ საღამოს მომიწია სცენაზე გამოსვლა. ერთმა რუსმა გრიმიორმა ქალმა მითხრა, რომ, ოთახი, სადაც გრიმს ვიკეთებდი და სპექტაკლისათვის ვემზადებოდი, თავის დროზე ანა პავლოვას ეკუთვნოდა.

ჩემს გაკვეთილებს თეატრში სერჟ ლიფარი დაესწრო. იგი მეგობრულად ესაუბრებოდა ვახტანგ ჭაბუკიანს და ღიმილით ადევნებდა თვალყურს ჩემს მოძრაობებს. შემდეგ დამიძახა და მკითხა: „თქვენი პედაგოგები ლენინგრადელები იყვნენ?“ ლენინგრადის საბალეტო სკოლა ხომ მართლაც გამოირჩეოდა თავისი სტილით. წლების შემდეგ ზურაბ კიკალეიშვილმა მაჩვენა სერჟ ლიფარის გამოცემული ალბომი „საბჭოთა ბალეტის ვარსკვლავები პარიზში“, სადაც ქართული ბალეტის მონაკვეთი ირემას პარტიაში ჩემი ფოტოთი იხსნებოდა.

ერთ საღამოსაც ჩემთან, საგრიმიოროში, შემოვიდა იმპოზანტური გარეგნობის მამაკაცი. იგი რუსული საოპერო-საბალეტო ხელოვნების უხუცესი, პარიზში დიაგილევის სეზონების მონაწილე, უკრაინელი კომპოზიტორის გულაკ-არტემოვსკის ძმა აღმოჩნდა. ერთი თვის შემდეგ თეატრმა ჩემ სახელზე წერილი მიიღო, სადაც იგი წერდა: “Вы покорили очень трудный, жесткий и очень капризный Париж... Ваша балетная туфелка хранится в моем историческом музее”. ინგლისურ ჟურნალ “Dancing Times”-ში მკაცრი ევროპელი ბალეტის კრიტიკოსი ოლეგ კერენსკის სტატიაში “The Paris Dance Festival”, იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „მთავარი მოცეკვავენი – ბექარ მონავარდისაშვილი, ლარისა ნადარეიშვილი და ლილიანა მითაიშვილი – ხტოდნენ უფრო მაღლა და ტრიალებდნენ უფრო სწრაფად, ვიდრე ბევრი ჩვენი მოდური მოცეკვავე!“

სცენის დატოვების შემდეგ სულაც არ დავშორებივარ საბალეტო ხელოვნებას. ლენინგრადში თეატრის, მუსიკისა და კინოს ინსტიტუტში ვსწავლობდი ბალეტის ცნობილ ისტორიკოსებთან – ვერა კრასოვსაკაიასთან და ვლადიმერ სახნოვსკისთან, ხოლო თბილისში – ეთერ გუგუშვილთან. ვარ რამდენიმე წიგნის ავტორი: „თანამედროვე ქართული ბალეტი“, „კლასიკური ცეკვის სტრუქტურა“, „ბალეტი და მისი კერპები“. ამჟამად ვმუშაობ საბალეტო ენციკლოპედიაზე, სადაც მინდა თავი მოვუყარო ქართული ბალეტის ისტორისა და მის დღევანდელობას.“

Half a Century With Ballet

2009 is an important annual date for Larisa Nadareishvili, the ballerina and the Doctor of the Art Criticism – she has been serving the art of dance for 50 years as actor, ballet historian, journalist and theoretic. This is what she had to tell us:

“It was once when my mother’s friend, who was the pianist of the choreographic school, told her that Galina Ulanova’s partner, Obukhov, had arrived to establish a ballet group. That’s where I was enlisted at, before being transferred to the A. Bagankova’s (Vaganova’s pupil) women group, where all of the pedagogues had been moved from the besieged Leningrad. Along with the choreographic work they were dancing at the Spendyarov’s theatre. They were the ones who taught me the love of ballet, music and theatre. So I did not think much when choosing ballet and I moved to Moscow for studying, where we often found ourselves at the class of Elizaveta Gerdt; jumps were taught by Tarasova, support – by Lapauri.

One day rumours started that the Georgians had come and brought the wonder ballet “Othello” (Decade of the Georgian Art, 1958). I met Vakhtang Chabukiani by the Bolshoi Theatre, approached him and said straight away: “I’m Georgian!” He had a look at me, at my legs, and then replied: “Come to Tbilisi after finishing your probation.” in four months I had his signed note, inviting me to work in Tbilisi.

My first big role was that of Irema in “Gorda” by G. Toradze, followed by Odette-Odile, Desdemona, Gamzat, Myrtha, Jasintha, Ofelia, Street Dancer, Euridice, Francesca, Violet Fairy, The Eastern Star, Beauty and others.

Special role in my stage career has to go to “Gorda”, which enjoyed great success in Paris, Moscow, Leningrad, Lodz, Socha..

The strict critic of European dance, Oleg Kerensky, wrote in “Dancing Times”, under the “The Paris Dance Festival” article: “Bekar Monavardisashvili, Larisa Nadareishvili and Liliana Mitaishvili jumped higher and turned faster than many of our popular dancers!”

I have left the stage but not the ballet art. I studied in Leningrad under the tutorship of Vera Krasovskaya, the well-known ballet historian, and Vladimer Sakhnovsky, also in Tbilisi, where my pedagogue was Eter Gugushvili.”

Larisa Nadareishvili is the author of “The Modern Georgian Ballet”, “Ballet and its Icons”, “Structure of the Classical Dance”.

ნინო ოჩიაური საბალეტო დასის სოლისტია და მის შესახებ ჩვენ ვწერდით კიდეც. მაგრამ ამჯერად სულ სხვა კუთხით გვინდა დაგანახოთ იგი, როგორც კიდევ ერთი ხელოვნებით გატაცებული შემოქმედი. მისი ჰობი ფოტოგრაფიაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს საქმიანობა მისთვის ჰობიზე უფრო მეტიცაა. გნებავთ სულის მდგომარეობა. განწყობის შექმნისათვის იგი ხშირად ხელში იღებს აპარატს და ქმნის ფოტოკომპოზიციებს საბალეტო თემებზე, არქიტექტურაზე. აქ ხშირად უმართლებს, როცა დასთან ერთად გასტროლზე მიდის. პორტრეტების და პეიზაჟების გადაღება არ უყვარს.

ყველაფერი ამ ექვსიოდე წლის წინ დაიწყო, როცა ახლობლის რჩევით დავით ცხადაძის ფოტოსტუდიას მიაკითხა და ფოტოხელოვნების ორი კურსი გაიარა. შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში წარმატებებსაც მიაღწია. მის ნამუშევრებს ხშირად შეხვდებით თბილისში საკმაოდ პრესიტიჟული ფოტოკონკურსის „ქოლგას“ გამოფენებსა და ყოველწლიურ კატალოგში „100 საუკეთესო ფოტო“. რამდენიმე მათგანი ამ კონკურსზე ნომინირებულიც კი იყო. გადავწყვიტეთ ზოგიერთი ფოტო ჩვენი ჟურნალის მკითხველებს შევთავაზოთ.

Nino Ochiauri is one of the Soloists of the Ballet Company who we have already written about, although now we would like to present her from another perspective - as one of the artists interested in another sphere of art. Photography is her hobby, but in reality more than that, more like a sphere of her soul. She often creates photo compositions on the ballet topic and is also interested in architecture - this comes useful during the travels of the Company. She doesn't like taking portraits and landscapes.

It all began about six years ago, when, after advise from a relative, she went to the David Tskhadadze Studio and underwent two courses of photographic art. She even managed success in this sphere – you can often find her works at the presitigious "Kolga" photo contest in Tbilisi, as well as in the annual "100 Best Photos" catalogue. Several of these works have even been nominated in this contest. So we decided to present some of these photos for our readers.



ბალანჩინი
BALANCHINE

ნომინირებული იყო
ფოტოკონკურსზე „ქოლგა“.
დაბეჭდილია კატალოგში
„100 საუკეთესო ფოტო“. 2005

Had been nominated
in the "Kolga" photo contest.
Printed in the "100 Best Photos"
catalogue of 2005

გედების რეპეტიცია
THE SWAN REHEARSAL

სილუეტი
SILHOUETTE

ნომინირებული იყო
ფოტოკონკურსზე „ქოლგა“ –
„საუკეთესო კომპოზიცია“.
დაბეჭდილია კატალოგში
„100 საუკეთესო ფოტო“. 2006

Had been nominated in the “Kolga”
contest in the “Best Composition”
nomination. Printed in
the “100 Best Photos” catalogue of 2006

ნახტომები
Jumps

ყოველდღიური გაკვეთილი ბალეტში ორი ნაწილისაგან შედგება: ძელთან (ეგზერსისი) და დარბაზის შუაგულში. ვარჯიშის იმ ნაწილს, რომელიც ნახტომებს შეიცავს ალეგროს (Allegro) უწოდებენ.

ნახტომის სიმაღლეს „ელევაცია“ ჰქვია, ხოლო მოცეკვავის ჰაერში წამით შეჩერებას ბალონს უწოდებენ (Ballon – საჰაერო ბურთი).

ნახტომები ბევრნაირია და ისინი სხვადასხვა სიმაღლეზე სრულდება.

ფოტოები სარეპეტიციო დარბაზში გადავუღეთ საბალეტო დასის წამყვან სოლისტებს ნინო გოგუასა და ლაშა ხოზაშვილს.



The everyday ballet work consists of two parts: at the barre (exercise) and in the middle of the studio. The part containing the jumps is called Allegro.

The height of a jump is called “elevation”, while the moment a dancer holds for a moment in the air is named “Ballon”.

Jumps are of many types and performed at various height.

The pictures of the Leading Soloists Nino Gogua and Lasha Khozashvili have been taken at the rehearsing studio.

სუბრისიო (Soubresaut – ძლიერი გადახტომა) – ნახტომი სრულდება მეხუთე პოზიციიდან მეხუთე პოზიციაში, მიტყუპებული ფეხებით, უკან გადახრილი ტანით და ჰაერში გადაადგილებით

Soubresaut (French: powerful jump) – A jump performed from the fifth position, with back-bent body and movement in air

კაბრიოლი (იტ. თხა) – ანუ თხის ნახტომი. თავიდან ყველანაირ ნახტომს ასე ერქვა. მე-18 საუკუნიდან კი გარკვეული პას სახე მიიღო. ამ ნახტომის დროს მოცეკვავე ერთი ფეხს ზევით აისვრის, მეორეს კი ქვემოდან არტყამს მას

Cabriole (Italian: a goat) - An allegro step in which the extended legs are beaten in the air. All kinds of jumps had been called in this way, although it took an independent meaning from XVIII century

პა დე შა (Pas de chat – კატის ნაბიჯი)– ნახტომი, რომელიც კატის ნახტომს წააგავს

Pas de chat (French: Cat's-step) – The step owes its name to the likeness of the movement to a cat's leap

ჟეტე (ფრ. Jeter – ტყორცნა, გადაგდება) – ეს ტერმინი აღნიშნავს მოძრაობებს, სადაც ხდება ფეხის ატყორცნა და მასზე დახტომა. არსებობს ჟეტეს რამდენიმე ნაირსახეობა. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ჟეტე ან ტურნანი (ჟეტე ტრიალში) მაგ. მამაკაცის ცეკვაში ან მამაკაცის ვარიაციასა და კოდაში

Jeté (French: Jeter – to throw) - Throwing step. A jump from one foot to the other in which the working leg is brushed into the air and appears to have been thrown. There is a wide variety of pas jetés (usually called merely jetés) and they may be performed for example in a male dance or variation.

სო დე ბასკ (Saut de basque – ფრ. ბასკის ნახტომი) – ნახტომი ბასკური ხალხური ცეკვიდან

Saut de basque (French: Saut de basque – a jump of the basque) – A jump from the Basque national dance

თამარ ვიხოდცევა

Tamar Vikodtseva

ქართული ბალეტი ბევრი ღირსეული ადამიანისაგანაა დავალებული, რომელთა ღვაწლის წარმოჩენა და მათი სახელისათვის პატივის მიგება ჩვენი მოვალეობაა. ერთ-ერთი ასეთი ღვაწლმოსილი პიროვნება გახლდათ თამარ ვიხოდცევა (1911-1993). სიცოცხლის ბოლომდე იგი ვ.ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და საბალეტო დასის მსახიობთა მრავალი თაობა აღზარდა. თამარ ვიხოდცევამ საბალეტო ხელოვნების შესწავლა მარია პერინის სტუდიაში დაიწყო და შემდეგ ბალეტის პედაგოგის კვალიფიკაცია ომის წლებში, თბილისში ჩამოსულ ელიზავეტა გერდტთან აიმაღალა. მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ საკუთარ პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, გულისხმიერი პედაგოგი, რომელსაც მისი ტრაგიკული პირადი ცხოვრების მიუხედავად, ერთი დღეც კი არ გაუცდენია გაკვეთილი – ასეთს იხსენებენ მას მისი აღზრდილები:

Many honourable people have taken their part in fate of the Georgian Ballet, and their names is one of our obligations. One of these persons is Tamar Vikhodtseva (1911-1993). She led the pedagogic work at the V. Chabukiani State School of Ballet Art during all of her life, and many generations of the ballet company were brought up by her. She began studying the ballet art at the Maria Perini studio, carrying on with then newly-arrived Elizaveta Gerdt during the war years. Strict and demanding, although a pedagogue in love with her profession, not missing one working day despite her troubled private life – this is how her pupils remember her:

ლილიანა მითაიშვილი: თავდადებული პედაგოგი იყო. გაკვეთილს რომ მორჩებოდა, რომელიც თეატრში გვიტარდებოდა, დერეფანში გამოგვიყვანდა და იქ აგრძელებდა მუშაობას. ძალიან უყვარდა მოსწავლე, რომელიც კარგად მუშაობდა. თუ შეატყობდა, რომ სწორად არ აკეთებდა და მის შენიშვნებს ყურს არ უგდებდა, უკან რიგში დააყენებდა. მის გაკვეთილზე „ნახევარ ფეხში“ ვარჯიში წარმოუდგენელი იყო. ყველაფერი ზუსტად უნდა გაგეკეთებინა. ძლიერი რუსული სკოლა ჰქონდა გავლილი. ომის წლებში ჯერ ელიზავეტა გერდტთან მეცადინეობდა, შემდეგ დავით ჯავრიშვილმა მოსკოვში მიავლინა და იქ აიმაღლა კვალიფიკაცია. საკუთარი ცხოვრების გამო საკმაოდ ტრაგიკული ადამიანი გახლდათ. ბოლო წლებში ხშირად ვხვდებოდი. ახარებდა მისი მოსწავლეების წარმატებები. ჩემს სპექტაკლებზე სულ მოდიოდა. ძალიან მშობლიური დამოკიდებულება გვქონდა.

ნინო ანანიაშვილი: ოთხი წელი ვსწავლობდი მასთან, სანამ მოსკოვში გადავიდოდი სასწავლებლად. ძალიან მკაცრი იყო, მომთხოვნი, მაგრამ არანაირი შიში მის მიმართ არ გვქონდა, რადგან იგი გახლდათ დიდი პროფესიონალი. ვგრძნობდით, რომ მასთან პროფესიას ვეუფლებოდით, ხასიათს გვიმუშავებდა, იმპროვიზაციის საშუალებას გვაძლევდა. პატარა ასაკში უკვე მაძლევდა ცალკეულ ნომრებს. მახსოვს, ვინმე სტუმარი თუ შემოვიდოდა ჩვენთან, მაშინვე გამომიყვანდა და „მომაკვდავ გედს“ შემასრულებინებდა. ეს ნომერი ჯერ კიდევ მაშინ მოვამზადე, როცა ფიგურულ სრიალზე დავდიოდი და ალბათ, მოსწონდა. ძალიან არ უნდოდა, მოსკოვში რომ წავსულიყავი. ეშინოდა, არასწორად არ განვითარებულიყო ჩემი კარიერა. შიში მეც მქონდა, მაგრამ კლასში რომ შევედი, მომეჩვენა, რომ ჩემი თბილისელი თანაკლასელები უფრო ძლიერები იყვნენ. მისი გაკვეთილები ძლიერ ფეხებზე აყენებდა ბავშვებს, ჩვენ უფრო მეტი ვიცოდით, ვიდრე პროგრამა ითვალისწინებდა.

მერე, როცა მოსკოვიდან ჩამოვდიოდი, ყოველთვის მივდიოდი მასთან სასწავლებელში. უხაროდა ჩემი წარმატებები და უკვე გულახდილად მეუბნებოდა, რომ სწორად მოვიქეცი მოსკოვში რომ გავაგრძელე სწავლა.

მარინა ალექსიძე: შვიდი წელი მასწავლიდა თამარ ვიხოდცევა, შესანიშნავი პედაგოგი, რომელმაც ქართულ ბალეტს თაობები აღუზარდა. მკაცრი, მომთხოვნი, თითქოს ყოველთვის გაბრაზებული ჩანდა. თავდაპირველად რომ შევხედეთ ძალიან მოხუცი გვეგონა, მაგრამ ასაკზე უფრო დიდი შეხედულება ჰქონდა მხოლოდ. დასჯის თავისებური მეთოდი ჰქონდა. არ შემოგხედავდა რამდენიმე გაკვეთილზე. არც შექება იცოდა. მაგრამ ჰქონდა შესანიშნავი გაკვეთილები, რომელიც გვაძლიერებდა როგორც მოცეკვავეებს...

LILIANA MITAISHVILI: she was a dedicated pedagogue. After finishing the classes, she would take us out to the corridor and continue the work there. She loved the hard-working students, while making those not doing enough or not listening to her stand at the back. It was unimaginable to work on half foot at her classes, you always had to do your best. She had her strong Russian school, working with Elizaveta Gerdt during the war and then being sent to Moscow by David Javrishvili for improving her level. In contrary, her private life was tragical. I met her often during the last years, when she was happy for her students' success. Always attending my performances, we had great relationship.

NINA ANANIASHVILI: I attended her classes for four years before moving to Moscow. She was very strict, although we did not fear her, as she was a great professional as well. We felt we were mastering our profession and character with her. She let us improvise and I personally had various numbers even at young age. As I remember, if we had a guest, she would make me do the Dying Swan improvisation, as I had prepared the number while being an ice-skater and probably she liked the way I was doing it. She didn't want me to move to Moscow, for she feared for my career not to take a wrong turn. I had the same fears, although, when I entered the class, I felt as if my counterparts from Tbilisi were stronger than me. Her classes made one's feet stronger and we knew more than the program consisted of.

During my arrivals from Moscow I visited her each time at the school. She felt happy for me and used to say I was right to continue studying in Moscow.

MARINA ALEKSIDZE: The great pedagogue, Tamar Vikhodtseva, who brought up the generations of the Georgian ballet, taught me for seven years. Strict and demanding, it looked like she was angry at all times. Looking at her for the first time, we thought she was very old, although she only looked older than she actually was. Tamar had her own way of punishment – she would not look at you for several classes. She wouldn't say "well done" either, although had great classes, making us stronger as dancers.

თამარ ვიხოდცევა ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელებთან. 1947 წ.
Tamar Vikhodtseva with the pupils of the choreographic school. 1947.

თამარ ვიხოდცევა და ნინო ანანიაშვილი ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღსაზრდელებთან. 1986 წ.
Tamar Vikhodtseva and Nina Ananiashvili with the pupils of the choreographic school. 1986.

ეკა შავლიაშვილი: სიცოცხლის ბოლომდე სასწავლებელში მუშაობდა. ძალიან ხანდაზმული იყო, როცა მე მასწავლიდა. სკამიდან თითქმის არ დგებოდა, მაგრამ ისე გვიხსნიდა, ისე გვისწორებდა, რომ ყველაფერი კარგად გამოგვდიოდა. მისი საყვარელი ნომერი იყო პა დე ტრუა „მაკნატუნადან“. თითქმის მისი ყველა მოსწავლე ვცეკვავდით ამ ნომერს. თითოეულ მოძრაობას მხოლოდ ტექნიკურად კი არ გვიხსნიდა, ისტორიასაც გვიყვებოდა: “Это по Мордкину” – დაამატებდა, როცა მოძრაობას გვაჩვენებდა. იგი ჯერ პერინის სტუდიაში სწავლობდა, შემდეგ მორდკინთან იღებდა გაკვეთილებს. მისი მოსწავლეები გამორჩეულად ძლიერები იყვნენ. განსაკუთრებით ენდობოდა ბრწყინვალე ბალერინას ქეთევან ნადარეიშვილს, რომელსაც მასავით მძიმე და ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდა. ხშირად მოჰყავდა ჩვენთან რეპეტიციებზე. გაკვეთილის განსაზღვრული დრო მისთვის არ არსებობდა. ვინმე ამაზე თუ დაიწუწუნებდა, იმას დატოვებდა და დამატებით ამუშავებდა. ყოველთვის თან ჰქონდა ზეფირები, რომლითაც წარმატებული გაკვეთილის შემდეგ გვაჯილდოებდა. სამწუხაროდ, არეულ და მძიმე დროს გარდაიცვალა. შემდეგ საფლავიც დაიკარგა. ამას წინათ, ქალბატონ ლილიანა მითაიშვილთან ერთად, მივაკვლიეთ ამ საფლავს კუკიის სასაფლაოზე.

EKA SHAVLIASHVILI: She worked at the School for her whole life. She was quite old when I underwent her classes and didn't even stand up from the chair, although that wasn't even needed, as she made perfect notes from her place. She had a beloved number - pas de troix from "Nutcracker", which almost all of her students danced. She wouldn't just explain the technical side of the movement, but its history as well. Ms. Tamar studied with Perini at first, before moving to Mordkin. Her students had been especially strong, and she liked the brilliant ballerina Ketevan Nadareishvili, who had the difficult personal life like hers. Vikhodtseva often took her to our rehearsals; she had no defined time for work - if anybody made a complaint about it, she would make them stay and work extra. She always had zephyres with her, granting them to us after a successful work. Sadly, when she passed away at those difficult years, her grave was lost as well. Together with Ms. Lala Mitaishvili we found it at the Kukia Cemetery a short time ago.